# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 21 დეკემბერი 1996 №136 (361) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვინ ესროლა ქინქლაძეს?

**მანჩესტერში ქინქლაძესთან ვიღაც ქართველი მივიდა და 100 000 გირვანქა მოსთხოვა. გიომ უარი უთხრა. იმან კი იარაღი იძრო და ფეხში დაახალა. კიდევ კარგი, გიო მხოლოდ დაიჭრა...**

ცუდად იხუმრა ვინმემ თუ რამე შეეშალა, ფაქტი კია — გუშინ თბილისში ასეთი ხმა დაირხა. ცხადია, დაჯერება გაგვიჭირდა, თუმცა მანჩესტერში დარეკვა მაინც გადავწყვიტეთ. გიო ვერცერთ ტელეფონზე ვერ მოვიხელთეთ და ის იყო, შევფიქრიანდით, რომ, როგორც იქნა, მიხეილ ყაველაშვილს დავუკავშირდით.

— ჩვენთან სიახლე ის არის, რომ გუშინ კიგანმა ტელეინტერვიუში გიოს „ნიუკასლში" გადაყვანის დიდი სურვილი გამოთქვა, „სიტის" მწვრთნელად კი „ნოტინგემიდან" გუშინწინ დათხოვნილ ფრენკ კლარკს ნიშნავენ. გიოს დაჭრის ამბავზე კი რა გითხრათ — აქ მხოლოდ ორი ქართველი ვართ და თუ ვინმე ჩვენებური ესროდა გიოს, მე თუ ვიქნებოდი. მოკლედ, ეს ყველაფერი დიდი სისულელეა. მშვიდად იყავით, მსგავსი არაფერი მომხდარა — გვითხრა მიშამ.

## „გურია" იშლება?

ახლახან იყო, რომ გაუწყეთ, საქართველოს ნავთობის კომპანიას „გურიას" დახმარება განუზრახავსო. თუმცა, ლანჩხუთელთა ნახევარმცველის მამუკა ბუცურეიშვილის თქმით, გუნდი დაშლის საფრთხის წინაშე დგას: „გვითხრეს, შეპირებული თანხა, შეიძლება, მეორე წრის დასაწყისში გამოჩნდესო — ვინც მანამდე მოითმენს, ხომ კარგი, თუ არადა, წასვლაში ხელს არ შეგიშლითო. წარმოიდგინეთ, მარტამდე უხელფასოდ დარჩენა რას ნიშნავს, თუმცა, არც იმაში ვართ დარწმუნებული, რომ მარტში გაგვისტუმრებენ პირველი წრის ვალებს. ამის გამო წამოსვლა გადავწყვიტე. როგორც ვიცი, წასვლას სხვებიც აპირებენ და, პირველი წრის შემადგენლობიდან, ალბათ, საკმაოდ ბევრი დატოვებს „გურიას".

## „გინგამმა" გახოკიძე კვლავ მიიწვია

ადრე გაუწყეთ, რომ საფრანგეთის „გინგამი" გოგა გახოკიძეს მიწვევას დაპირდა, მას შემდეგ, რაც „კოლხეთის" მოთამაშის ამ ფრანგულ კლუბში გადასვლის პირველი მცდელობა ჩაიშალა. ბოლო ინფორმაციით, გახოკიძე კვლავ „გინგამში" კარიერის გაგრძელებაზე ფიქრობს და ამისი წინააღმდეგნი არც ფრანგული კლუბის მესვეურები არიან, რაც აცნობეს კიდეც გოგას. ეგაა მხოლოდ, ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე ამ ტრანსფერს არაფერი ეშველება.

## ოთარ კორღალიძე „ოდიშში"?

ოთარ კორღალიძე კვლავ აპირებს თამაშის გაგრძელებას და როგორც თავად გვითხრა, მეორე წრიდან ალბათ ზუგდიდის „ოდიშის" მაისურს მოირგებს. კორღალიძე უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას ოდიშელებთან და იმედი აქვს, ყველაფერი წარმატებით დასრულდება.

მისივე თქმით, ლანჩხუთის „გურია" დატოვა მეორე ვეტერანმა ფეხბურთელმა მერაბ თევზაძემაც, თუმცა, სად ითამაშებს იგი, ჯერჯერობით უცნობია.

## სად ითამაშებს შავი კაცი?

წინა „სარბიელში" გაუწყეთ, რომ საქართველოში კლუბის საძებნელად ჩამოვიდა ნიგერიელი ფეხბურთელი. ისიც გაცნობეთ, ბარი სალამით ხაშურის „ივერია" და თბილისის „შევარდენი" რომ დაინტერესდნენ. ახლა კი სარწმუნო წყაროებიდან ისაც შევიტყვეთ, მავანთ იმისი სურვილი გასჩენიათ, რომ ამ აფრიკელმა ფეხბურთელმა „ბათუმში" ან ფოთის „კოლხეთში" ითამაშოს. ვნახოთ, რით დასრულდება შავკანიანის ვოიაჟი საქართველოში. ჯერჯერობით კი ბარი თბილისშია, აიეტი-TV-ს საშობაო ტურნირშიც ითამაშა „XXI საუკუნის" შემადგენლობაში და როგორც ერთი შეხედვით ჩანდა, დიდი ვერაფერი ბედენა უნდა იყოს.

## კობიაშვილი „ალანიაში" არ გადადის!

გვითხრა გუშინ „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ. „საიდან მოიტანა ეს ცნობა „სპორტ-ექსპრესმა", ვერ გეტყვით. შეიძლება „ალანიას" ხელმძღვანელებს მართლაც სურთ ლევან კობიაშვილის გადაყვანა, მაგრამ ჩვენთვის ამის თაობაზე ჯერ არავის მოუმართავს."



## გილოცავთ, მეგობრებო!

**იბერია ლიბერიას გაუამხანაგდა**

**ფიფას რეიტინგში საქართველო პირველ ~~ადგილზეა~~ ასეულშია!**

იხილეთ მესამე გვერდი

## მარადონას ყალმუხეთიღა აკლდა

**ისე, მაგისგან ყველაფერი მოსალოდნელია**

რუსეთის მეორე ლიგის კლუბ „ურალანის" პატრონმა, ყალმუხეთის პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა დიეგო მარადონას, რომლითაც ვარსკვლავს ელისტაში თამაშს სთხოვს. ილუმჟინოვის პრეს-ატაშეს თქმით, მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმება მარადონასთან, რომლის თანახმადაც იგი მარტში ელისტაში ჩავა. „ურალანი" რუსეთის მეორე დივიზიონის საშუალო გუნდია, მაგრამ ამბიციურ ილუმჟინოვს ეს არ აკმაყოფილებს და გუნდს 5 მილიონი დოლარი გამოუყო გასაძლიერებლად.

# რევაზ გაგუა: არც ფინალში ვაპირებთ მაჩანჩალობას



რაც რამ ჩვენში ჯილდო და რეგალიები არსებობს ბავშვთა მწვრთნელისთვის, იგი ყველაფერს იმსახურებს. განა მარტო იმიტომ, რომ ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი მწვრთნელია ფეხბურთში, რომელმაც საქართველოს ნაკრები — 16 წლამდელთა — ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. აღნიშვნას, უპირველეს ყოვლისა, მისი ხანგრძლივი და მართლაც ნაყოფიერი საქმიანობა იმსახურებს. მარტო 1971 წელს დაბადებულ ნორჩ დინამოელთაგან გია ნემსაძე, კაკო დევაძე, დათო ყიზილაშვილი, გოჩა გუჯაბიძე და საბერძნეთის ნაკრებისა და „ოლიმპიაკოსის“ ნახევარმცველი ანდრო ნინიაძისი (კიურჯიევი) გამოზარდა. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი თამაშობს საქართველოსა თუ უცხოეთის გუნდებში.

ვერ გეტყვით, რა იყო იმის მიზეზი, რომ მხოლოდ შარშან ჩააბარეს მოზარდთა ნაკრები, მაგრამ, ფაქტია, სწორედ რევაზ გაგუას შეშვენის რომაელთა ფრაზა — მივედი, ვნახე, გავიმარჯვე. სხვათა შორის, იმავე პირობებში, იმავე უბადრუკ გარემოში მუშაობდა, როგორშიც, ჩვეულებრივ, ამჟამად მუშაობენ ჩვენი მწვრთნელები (კოპალეიშვილიც, ალბათ, გამონაკლისია). და მაინც, დახეთ, „უცნაურობას“: წარმატებას მიაღწია! მადლობა ღმერთს, ჩვენც გვყავს მცოდნე და საქმეზე უანგაროდ შეყვარებული მწვრთნელები — რეზო გაგუა მათგან ერთ-ერთი უპირველესია...

**— მწვრთნელებისგან მსმენია, სწორედ გაგუას შეხვდა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი თაობა...**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ სუსტი თაობაა, თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, ვარსკვლავებს წყვეტენ-მეთქი. მაგრამ ბავშვების მონდომებამ, შრომამ ნაყოფი გამოიღო, კარგი გუნდი შეიკრა და სწორედ ამის ხარჯზე მივაღწიეთ წარმატებას. რა თქმა უნდა, ფეხბურთის ფედერაციამაც შეგვიქმნა პირობები, მოგვიწყო შეკრებები და ბავშვებიც ნელ-ნელა შეთამაშდნენ. მუშაობა 2 აპრილს დავიწყეთ. ჯერ თბილისელი ბავშვები გავსინჯე, შემდეგ კი რაიონიდან მოწვეულებიც ვნახე. ამის შემდეგ 16 მოზარდით გერმანიაში შეკრებაზე გავემგზავრეთ. იქ 5 ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ და ჩვენს წარმატებას სწორედ იქ ჩაეყარა საფუძველი. ამის შემდეგ 12 კაცი დავიტოვე, მერე 8 დავუმატე და ლაგოდეხში გავემგზავრეთ შეკრებაზე, სადაც რაიონის ხელმძღვანელობამ და ბაზის დირექტორმა ბადრი სამარგულიანმა ჩინებული პირობები შეგვიქმნეს. მოკლედ, შეკრებები ნაყოფიერი იყო და შედეგიც საბერძნეთში გამოჩნდა.

**— ჩვენს ნაკრებთა წარუმატებლობის შემყურეთ მოზარდთა გუნდის გამარჯვების იმედი თითქმის არც გვქონდა...**

— დამსახურებას ნურც კოპალეიშვილის ნაკრებს დავუკარგავთ — რომ არა სომხეთის ნაკრების ხელმძღვანელთა უსინდისობა, ეს გუნდიც შეძლებდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლას.

მასპინძელ ბერძნებთან პირველი შეხვედრა გვქონდა, ბავშვები ძალიან ნერვიულობდნენ. მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, მესამე წუთზე რომ გოლი გაგვიტანეს, ამან ბიჭებზე კარგად იმოქმედა, გამოცოცხლდნენ, შეუტიეს და დავწინაურდით 3:1. აი, აქ კი შევცდით, ნაადრევად დავიმშვიდეთ თავი და მე-60 წუთზე 4:3 ვაგებდით. კვლავ მოვიპოვეთ უპირატესობა და აფხაზავას ულამაზესი გოლის წყალობით ფრეს მივაღწიეთ. ამის მერე ბულგარეთთან მძიმე თამაში გველოდა, მანამდე საბერძნეთი — ბულგარეთი 1:1 დასრულდა. ჩვენ ფრეც ხელს გვაძლევდა, მაგრამ ბიჭები მაინც გამარჯვებისთვის განვაწყვეთ. ძალიან კარგად გაისარჯა მეორე მწვრთნელი ოთარ რუხაძე, სწორედ მისი დამსახურება იყო, ბიჭები რომ საბრძოლოდ განეწყვნენ. მე თვითონ ცოტა დაბნეული ვიყავი. მადლობა ღმერთს, ბიჭებმა ივაჟკაცეს და თამაშის შემდეგ თავი ზღაპარში მეგონა — ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავედით. ამის მიუხედავად, თავი არ უნდა დავიმშვიდოთ — ბავშვთა ფეხბურთში ბევრია მოსაგვარებელი საკითხი. ჩვენს ფეხბურთს მყარი საფუძველი ბავშვთა ფეხბურთმა უნდა შეუქმნას, სხვაგვარად წარმატება მხოლოდ ეპიზოდური იქნება. ჩვენი ნაკრები, ფაქტიურად, მხოლოდ თბილისელი და აჭარელი ბავშვებისგან შედგება, ერთი ხობელი იყო და ისიც მერე თბილისში გადმოსახლდა. გასაკვირია, რომ ქუთაისიდან, ზუგდიდიდან და სხვა საფეხბურთო ქალაქებიდან ნაკრებში არავინ მოხვედრილა.

**— რატომ?**

— მუშაობის ის დონე არ არის, როგორიც საჭიროა. ვერ ვიტყვი, რომ თბილისსა და ბათუმში სხვებზე უკეთეს პირობებში მუშაობდნენ მწვრთნელები. უბრალოდ, სადაც საქმისადმი უკეთესი მიდგომა და სიყვარულია, შედეგსაც აღწევენ. თუ მარტო ფულზე ფიქრობ, ვერაფერს მიაღწევ. ვისაც არ შეუძლია მუშაობა, თავი უნდა დაანებოს. ამბობენ, პირობები არ გვაქვსო. ვინც ამას ჩივის და თავის საქმიანობას უნაყოფოდ თვლის, შეუძლია, სხვა საქმე მოძებნოს. წარუმატებლობა მიზეზების თავს იქით ძებნა წესიერ მწვრთნელს არ შეშვენის.

**— მცოდნე, განათლებული მწვრთნელები ცოტა გვყავს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად რეალურად მიგაჩნიათ საქართველოს მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის დაარსება?**

— შეიძლება, დღეს ეს არარეალური იყოს. თუმცა კი, მწვრთნელებისთვის სემინარები ტარდება და ამით, თქვენ რომ ბრძანეთ, იმ საქმეს ეყრება საფუძველი. ერთიც უნდა ვთქვა: დღეს ბევრი ხსნის საფეხბურთო სკოლას, ეს კი მე საზიანო საქმედ მიმაჩნია.

**— მიზეზი?**

— ბავშვები იქსაქსებიან და ჭირს მათი მეთვალყურეობა, თანაც ასეთ სკოლებში ბევრი არაკვალიფიციური მწვრთნელია და ჩვენი სიმდიდრე — ჩვენი ბავშვების ნიჭი — უაზროდ იფანტება. ბევრი მწვრთნელიც ფულის კეთებასა და უცხოეთში მიმოსვლაზე უფრო ფიქრობს, ვიდრე ბავშვთა გაზრდაზე. არადა, მოზარდებთან მუშაობას დიდი ცოდნა, გონიერება და პედაგოგიური ალღო სჭირდება.

**— ბავშვებთან მუშაობის თქვენეული პრინციპი როგორია?**

— უპირველესად, მკაცრ მოთხოვნებს ვუყენებ, მიყვარს დისციპლინა. ბავშვს ვარჯიში არ უნდა გაუცდინო, ტყუილად არ უნდა დაპირდე, რაც იცი, უნდა გადასცე. ერთი სიტყვით, ამ საქმეზე ახალს ვერაფერს ვიტყვი.

**— სამწუხაროდ, ბავშვთა ფეხბურთსა და დიდ ფეხბურთს შორის, ასე ვთქვათ, ხიდია ჩატეხილი, რის გამოც ბევრი ნიჭიერი მოზარდი დაიკარგა. თქვენი აზრით, რა გამოასწორებდა ამ ხარვეზს?**

— საფეხბურთო სკოლებთან გუნდების მჭიდრო კავშირი. თითოეული პერსპექტიული ბავშვი კონტროლზე უნდა იყოს. ეს კონტროლი რომ არ არის, ნიჭიერი მოთამაშეები იმიტომაც იკარგებიან. თუმცა, სხვა მიზეზებიც საკმაოა.

**— გავიგე, უცხოელებს რამდენიმე ჩვენი ბავშვთა გუნდის ყიდვაც კი განუზრახავთ. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ჩვენი ფეხბურთის დაცვა, აფრიკის ქვეყნებივით რომ არ განვიძარცვოთ?**

— ჩვენი ნაკრების მოთამაშე ლაშა ჯაკობია ბელგიის „სტანდარდის“ ახალგაზრდულ გუნდში ვარჯიშობს. ამით არაფერი უშავდება, პირიქით, ბევრსაც შეიძენს, მაგრამ მაინც არა ვარ იმის მომხრე, ბავშვებს ხუთ და ათწლიან კონტრაქტებს რომ უფორმებენ. ასე ბავშვი ვერ გაიზრდება. შეიძლება, კონტრაქტი კი ჰქონდეს, მაგრამ სკამზე იჯდეს, სხვა გუნდში გადასვლა კი არ შეეძლოს. მომხრე ვარ, დიდი-დიდი, ორწლიანი კონტრაქტისა. ხუთწლიანი კონტრაქტების არსი ნათელია — ბავშვებში ფული გააკეთონ. რა შეგვიძლია დავუპირისპიროთ ბავშვთა მიგრაციას? ეს ძნელი საქმეა, მაგრამ თუ ჩვენი ბავშვები კარგ პირობებში ივარჯიშებენ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, პირიქით, ისევ ჩვენს ნაკრებებს გამოადგებიან.

— კვლავ 16 წლამდელთა ნაკრებს დავუბრუნდეთ. 16 ფინალისტიდან 12 უკვე გაირკვა: მასპინძელი გერმანია, სლოვენია, უნგრეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, შვეიცარია, ბელგია, ისლანდია, ჩრდილო ირლანდია, უკრაინა, ესპანეთი, საქართველო. ოთხიც მალე გაირკვევა. კენჭისყრა ჟენევაში გაიმართება. ჯერ არ გადაწყვეტილა, გერმანიის რომელი ქალაქები იქნებიან მასპინძლები, ვადა კი ცნობილია — 26 აპრილიდან 9 მაისამდე. ფინალურ ეტაპზე გასვლა, თავისთავად, გასახარი ამბავია, თუმცა, რევაზ გაგუას არ მიაჩნია, რომ ეს მისი ნაკრებისთვის შესაძლებლობის ზღვარია.

— ჩვენი მიზანი, უპირველესად, ქვეჯგუფიდან გასვლაა, შემდეგ კი ვნახოთ. ხომ იცით, მადა ჭამაში მოდისო. მზადებას უკვე შევუდექით, ახალი მოთამაშეებიც მოვიწვიეთ — ერთი ბათუმიდან, ორი ზუგდიდიდან, სამიც თბილისიდან. მათ შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას ვაძლევთ, თუმცა კი გუნდის ბირთვი უცვლელი იქნება. გვაკლია მხოლოდ ლაშა ჯაკობია, რომელიც მარტიდან შემოგვიერთდება. შეკრების მეორე ეტაპს ბათუმში მოვაწყობთ 5-19 იანვარს, მერე ისევ თბილისში შევიკრიბებით და ტურნირის წინ კვლავ ლაგოდეხის ბაზას მივაშურებთ. ამის შემდეგ გაირკვევა გერმანიაში წამსვლელი 16 მოთამაშის ვინაობა. ვიმეორებ, ჩვენ ფინალში მაჩანჩალობას არ ვაპირებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# დინამო უფრო გაძლიერდა

ხუთშაბათს „აიეტი-TV“-ის ტურნირზე გაირკვა მეოთხედფინალისტთა ვინაობა.

### A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მარბიელი | 4 | 3 | 0 | 1 | 17:7 | 6 |
| აიეტი | 4 | 3 | 0 | 1 | 24:7 | 6 |
| ტელევიზია | 4 | 2 | 1 | 1 | 8:9 | 5 |
| გაენათი | 4 | 1 | 1 | 2 | 9:22 | 3 |
| თურქეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:12 | 0 |

**თურქეთი 0:3 ტელევიზია**
**მარბიელი 7:2 გაენათი**

თურქებმა მესამე ტურიდან ტურნირი დატოვეს და, ყველა გუნდი თანაბარ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, მათ ყველა მეტოქესთან 0:3 წაგება ჩაუთვალეს. ამის გამო ჯგუფში მხოლოდ ერთი — „მარბიელი“ — „გაენათის“ შეხვედრა გაიმართა. პირველი ტაიმი დაძაბულად წარიმართა, ბოლო წუთზეღა მოახერხეს ექიმებმა (მარბიელი) დაწინაურება. მანამდე კი პატარა კონფლიქტი წარმოიქმნა: ავლაბრელებს (გაენათი) მოედანზე ზედმეტი — მეექვსე მოთამაშე (!) აღმოუჩინეს.

შეხვედრის ბედი მარბიელთა სასარგებლოდ კვლავ გოგა გახოკიძის ბრწყინვალე თამაშმა გადაწყვიტა. მან ზედიზედ ოთხი მშვენიერი გოლი გაუტანა ავლაბრელთა კარის დარაჯ თემურ ჩლაიძეს. მარბიელმა, ყველასთვის მოულოდნელად, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

### B ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 12:6 | 7 |
| ენერგეტიკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 5 |
| თემქა | 4 | 2 | 0 | 2 | 14:10 | 4 |
| ცისარტყელა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 4 |
| 21-ე საუკუნე | 4 | 0 | 0 | 4 | 11:28 | 0 |

**21-ე საუკუნე 3:4 ცისარტყელა**
**თემქა 2:3 ენერგეტიკი**

ამ ჯგუფის შეხვედრები ყველაზე საინტერესო გამოდგა, რაკიღა აქ თანაბარი ძალის გუნდებმა მოიყარეს თავი. ასევე იყო „21-ე საუკუნისა“ და „ცისარტყელას“ თამაშიც, თუმცაღა იგი აღარაფერს წყვეტდა. საინტერესო იყო თუნდაც იმიტომ, რომ „მომავლის გუნდში“ ითამაშა საქართველოში ჩამოსულმა ნიგერიელმა ბარი სალამმა, რომელიც, ისე ერკვევა ფეხბურთში, როგორც მე — ჩინურ დამწერლობაში. „თემქა“ — „ენერგეტიკოსის“ შეხვედრა კი ისეთი გამოდგა, უკეთესს ვერ ინატრებდი. ბრძოლამ, მოთამაშეთა მონდომებამ, თემქელ გულშემატკივართა ოხხიანმა შეძახილებმა თამაშს ეშხი შეჰმატა. ორივე გუნდი მშვენივრად ირჯებოდა. წინ მუდამ ენერგეტიკა იყო — 1:0, 2:1. პირველი ტაიმი მაინც ფრედ — 2:2 დასრულდა. თამაშის ბედი 36-ე წუთზე გადაწყდა; თემქელებს ერთ-ერთი შეტევის დროს აბაზაძე დაუშავდათ და შეჩერდნენ. ამით ისარგებლა „ენერგეტიკოსის“ დაუშვილი, კართან მარტო დარჩენილი დათუაძემ შენიშნა და ამანაც თავისიანები დააწინაურა. ამ გოლს თემქელთა პროტესტი მოჰყვა, გუნთაძეს უსაყვედურეს, რატომ თამაში არ გააჩერეო. გუნთაძემ საყვედურებს ყური არ უგდო. გოლი მაინც ჩაითვალა. დარჩენილ ოთხ წუთში თემქელებმა არაერთი მომენტი შექმნეს, მაგრამ გოლად ვერ აქციეს და, მაყურებელთა გულდასაწყვეტად, მეოთხედფინალებს მხოლოდ ტრიბუნიდან მიადევნებენ თვალს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არც „ენერგეტიკოსია“ ურიგო გუნდი. ამ ჯგუფში მშვენიერი გუნდები შეიკრიბნენ და პირველი ეტაპის უფერული შეხვედრები გამოაცოცხლეს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა „ცისარტყელამაც“ მაგრამ რას იზამ, მეოთხედფინალში 2 გუნდი გადის.

### C ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვითა | 4 | 4 | 0 | 0 | 32:5 | 8 |
| ვაკე | 4 | 3 | 0 | 1 | 29:8 | 6 |
| ორბი | 4 | 2 | 0 | 2 | 18:14 | 4 |
| სამხატვრო | 4 | 1 | 0 | 3 | 28:20 | 2 |
| ბიომედი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:43 | 0 |

**ბიომედი 3:22 სამხატვრო**
**ვაკე 7:0 ორბი**

აქ მეოთხედფინალისტი ვაკე — ორბის თამაშს უნდა გამოევლინა, თუმცა ბრძოლა, რომელსაც ყველა მოელოდა, არ შედგა. ვაკელებს გიზო ჯელაძის დახმარება არც დასჭირვებიათ — მისმა ძმამ ზვიადმა, ლადო ჭოლოკავამ და პეტრია ცაავამაც იოლად სძლიეს მეტოქეს.

### [illegible] ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბურთალო | 4 | 4 | 0 | 0 | 34:6 | 8 |
| ხილიანი | 4 | 3 | 0 | 1 | 15:9 | 6 |
| არწივები | 4 | 2 | 0 | 2 | 16:7 | 4 |
| ფალავანი | 4 | 1 | 0 | 3 | 12:27 | 2 |
| ერისთავი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:30 | 0 |

**ხილიანი 3:1 არწივები**
**ერისთავი 4:8 ფალავანი**

ვერ გეტყვით, რომ სამთავრობო დაცვამ უბრძოლველად დაუთმო „ხილიანს“, თუმცა, უპირატესობას თავიდანვე ხილიანელები ფლობდნენ და საბოლოოდ დამაჯერებლად გაიმარჯვეს კიდეც.

### გუშინ მეოთხედფინალები გაიმართა.

**მარბიელი 1:2 ვაკე**

ანგარიში თავად მეტყველებს, რომ შეხვედრა დაძაბული იყო. მე-12 წუთზე ანგარიში გიზო ჯელაძემ გახსნა — მახვილი კუთხიდან მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში დაარტყა. გოლმა „მარბიელი“ გამოაცოცხლა, მაგრამ მეორე ბურთიც მიიღო საკუთარ კარში. ამჯერად პეტრე ცაავამ იმარჯვა. ბოლოს იაშვილმა გაქვითა და მარბიელები შტურმზეც გადავიდნენ, მაგრამ ვაკელები მშვიდად იცავდნენ თავს და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.

**ენერგეტიკოსი 2:3 საბურთალო**

შეხვედრა დაძაბული გამოდგა, რასაც არავინ მოელოდა. ტურნირის უდავო ფავორიტად შერაცხული „საბურთალო“ ზედმეტად თავდაჯერებული გამოვიდა მოედანზე, ამით ისარგებლა მეტოქემ და გიორგი მოსულიშვილის უძლიერესი შორეული დარტყმით დაწინაურდა კიდეც. ეს ყველამ შემთხვევითობას მიაწერა, თუმცაღა, პირველი ტაიმი იწურებოდა, ფავორიტები კი აგებდნენ. მეორე ტაიმში საბურთალოელთა უპირატესობა გამოიკვეთა და მუჯირისა და იაშვილის გოლებმაც არ დააყოვნა. ანგარიში ბოლოს დათუაძემ შეამცირა.

**დინამო 5:0 ხილიანი**

დინამოელებმა ჯამარაული და ლობჟანიძე დაიმატეს და მათი თამაში ჯგუფური ტურნირის სხვა შეხვედრებისგან განსხვავებით, მწყობრი და აზრიანი გახდა. ლობჟანიძემ ამ ტურნირზე ბურთთან პირველივე შეხება ცენტრიდან მშვენიერი დარტყმითა და უმშვენიერესი გოლით დაასრულა. ეს პირველივე წუთზე მოხდა. დარტყმა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ დევაძე სახტად დატოვა. გოლმა „ხილიანი“ გამოაცოცხლა, აქტიურობდნენ მელქაძე, კომახიძე, რეხვიაშვილი და მაზიაშვილი. ამათ „დინამოს“ კართან შორეულ დარტყმათა კასკადი მოაწყვეს, მაგრამ გუბაზ დოლიძე ფხიზლად იყო. ამ დარტყმებს ჯამარაულმა ისეთი დრიბლინგი მოაყოლა, „ტიროლთან“ შეხვედრა გამახსენა: მეტად ეფექტურად გაცდა სამ მცველს და წინ გამოსულ დევაძეს ბურთი თავზე გადაუგდო. კაკოს ბედად, ბურთი კარს ასცდა. მე-20 წუთზე კი დემეტრაძემ მეორე გოლიც გაიტანა და, შეიძლება ითქვას, შეხვედრის ბედიც მაშინ გადაწყდა. მერე სამჯერ გამოიჩინა თავი მაისურაძემ.

**აიეტი 5:2 ვითა**

მარცხის მიუხედავად, მშვენივრად ითამაშა „ვითამაც“. ეგაა, რომ სოლოღაშვილის ამოკეტვა ვერ შესძლო. მისმა ორმა მშვენიერმა დარტყმამ გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი — 3:0-ის შემდეგ „ვითას“ გამარჯვება უკვე ძნელი იყო. მომენტები კი ჰქონდათ ვითელებს, მაგრამ მაინც წააგეს 2:5.

ამგვარად, გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. დღეს, 16.00 საათზე, „აიეტი“ და „ვაკე“ შეხვდებიან ერთმანეთს, 18.00 საათზე კი — „საბურთალო“ — „დინამო“ შეერკინებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

არქიტექტურული სტუდია
გთავაზობთ:
პროექტირება
მშენებლობა
დიზაინი
ინტერიერი
სახლები,
ოფისები, მაღაზიები, ბანკები, ავტოგასამართი სადგურები, აგრეთვე ბუხრები და სხვა
ალ. ყაზბეგის გამ. №42, II კორპ, IV სართული
T: 99 03 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

# რატომ არ გვარგებს ჩამოქვეითება

18 დეკემბერს ფიფამ გამოაქვეყნა 1996 წლის რეიტინგი, რომელშიც საქართველო პირველ ნახევარს კეტავს. 95-ე ადგილი მსოფლიოში ჩვენი ფეხბურთის მესვეურთათვის იქნებ ზედგამოჭრილიც იყოს, მაგრამ 39-ე ადგილი ევროპაში, ვფიქრობთ, მათაც ვერ დააკმაყოფილებს.

მსოფლიოში პირველ ადგილებზე ყოფნა კარგა ხანს არ გვიწერია. გვერგება თუ არა ოდესმე მოწინავეთა კომპანიაში ყოფნა, ესაც საკითხავია, მაგრამ ასე დამდაბლებაც არანორმალურია.

ვინმემ რომ არ თქვას, მეტის პოტენცია არ გაგვაჩნიაო, გავიხსენოთ, რომ შარშან 79-ე ადგილზე ვიყავით. ჩვენი ზღვარი არც ესაა, მაგრამ ეხლა რომელ ზღვარზეა ლაპარაკი, როცა ქვემოთ დავეშვით.

ვინმემ იქნებ თავი ინუგეშოს, ქვემოთ მარტო ჩვენ კი არა, სხვა ჩვენნაირებიც — ლიტვა, ლატვია და ბელარუსიც დაეშვნენო, მაგრამ ესენი ჯერაც ჩვენზე წინ არიან. პირველ ორს ფორა ჰქონდა — წინა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევშიც იასპარეზეს. მაგრამ ბელარუსს, ანაც წინ წასულ უკრაინას, სომხეთს ან აზერბაიჯანს ამის შანსიც არ ჰქონიათ. ბოლო ორს შარშანაც ვასწრებდით და ჯერაც ვუსწრებთ, მაგრამ ასე თუ გავაგრძელეთ, მალე მათაც ჩამოვრჩებით.

ფიფას რეიტინგში ბევრი რამ არც მთლად ლოგიკურია, მაგრამ ამას თავისი სუბიექტური მიზეზები აქვს. მთავარი ისაა, რაში იყენებს ფიფა თავის რეიტინგს და რაში არ წაგვადგება ქვემოურ ზონაში ყოფნა.

საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიფამ გუნდები სწორედ რეიტინგში დაკავებული ადგილების მიხედვით გაანაწილა კალათებში. ევროპაში 39-ე ადგილზე ყოფნა კი იმის გარანტიაა, რომ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის წილისყრისას უკვე მეხუთე კალათაში მოვხვდეთ. ეს იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა გაისად არ გავიუმჯობესეთ. თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენს ფედერაციას ნაკლებად აღელვებს ეს საქმე, რაკილა დღევანდელი მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზის, ნაკრების მწვრთნელის გაშვებას არსადაც არ აპირებს.


ფირმების რეგისტრაცია

აუდიტი

სწრაფად, იაფად
(შ.პ.ს., ინდივიდუალური საწარმო, ს.ს.)

რუსთაველის 19.
ტელ.: 93-52-34, 99-09-84;
(18 საათიდან) 73-89-39


### ფიფა-Coca-Cola-ს რეიტინგი 1996 წელს

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ბრაზილია (1) | 68.38 | 96 მალაიზია (106) | 27.46 |
| 2 გერმანია (2) | 64.46 | 97 ლიბანი (134) | 27.40 |
| 3 საფრანგეთი (8) | 61.37 | 98 ერაყი (110) | 27.31 |
| 4 კოლუმბია (15) | 61.34 | 99 ვიეტნამი (122) | 26.60 |
| 5 ჩეხეთი (14) | 61.11 | 100 კონგო (119) | 26.45 |
| 6 დანია (9) | 60.67 | 101 პანამა (126) | 26.37 |
| 7 რუსეთი (5) | 60.51 | 102 ესტონეთი (129) | 26.25 |
| 8 ესპანეთი (4) | 60.21 | 103 ნამიბია (116) | 25.87 |
| 9 ჰოლანდია (6) | 59.59 | 104 მიანმარი (115) | 25.75 |
| 10 იტალია (3) | 58.68 | 105 გვატემალა (145) | 25.53 |
| 11 მექსიკა (12) | 56.92 | 106 სომხეთი (113) | 23.90 |
| 12 ინგლისი (21) | 56.42 | 107 ბურკინა ფასო (101) | 23.46 |
| 13 პორტუგალია (16) | 56.13 | 108 ეთიოპია (105) | 23.42 |
| 14 ნორვეგია (10) | 55.71 | 109 უზბეკეთი (97) | 23.36 |
| 15 ბულგარეთი (17) | 55.64 | 110 ბარბადოსი (103) | 23.29 |
| 16 რუმინეთი (11) | 55.57 | 111 ვენესუელა (127) | 23.14 |
| 17 შვედეთი (13) | 55.50 | 112 კენია (107) | 22.53 |
| 18 აშშ (19) | 54.78 | 113 მავრიტანია (85) | 22.17 |
| 19 სამხრეთ აფრიკა (40) | 54.32 | 114 ჰაიტი (153) | 22.16 |
| 20 ზამბია (25) | 53.76 | 115 სირია (136) | 21.98 |
| 21 იაპონია (31) | 53.35 | 116 ალბანეთი (91) | 21.49 |
| 22 არგენტინა (7) | 52.72 | 117 მოლდოვა (109) | 21.28 |
| 23 ტუნისი (22) | 51.94 | 118 ბაჰრეინი (99) | 21.12 |
| 24 ხორვატია (41) | 51.29 | 119 ინდონეზია (130) | 21.08 |
| 25 განა (29) | 50.93 | 120 ინდოეთი (121) | 20.69 |
| 26 ჩილე (36) | 50.46 | 121 სენ კიტსი (150) | 20.35 |
| 27 მაროკო (38) | 50.31 | 122 მალტა (90) | 20.14 |
| 28 ეგვიპტე (23) | 49.76 | 123 ლუქსემბურგი (100) | 19.46 |
| 29 შოტლანდია (26) | 48.71 | 124 ჰონკონგი (111) | 18.94 |
| 30 სლოვაკეთი (35) | 48.57 | 125 აზერბაიჯანი (141) | 18.88 |
| 31 თურქეთი (30) | 47.94 | 126 შრი ლანკა (135) | 18.44 |
| 32 იამაიკა (56) | 47.83 | 127 გრენადა (141) | 18.12 |
| 33 ეკვადორი (55) | 46.81 | 128 გამბია (112) | 18.02 |
| 34 ავსტრია (39) | 46.33 | 129 ნიგერი (93) | 16.91 |
| 35 საბერძნეთი (34) | 46.15 | 130 დომინიკის რესპ. (159) | 16.66 |
| 36 ირლანდია (28) | 46.08 | 131 სურინამი (124) | 16.63 |
| 37 საუდის არაბეთი (54) | 46.00 | 132 ახალი ზელანდია (102) | 16.42 |
| 38 პარაგვაი (64) | 45.69 | 133 გვინეა ბისაუ (118) | 15.58 |
| 39 ბოლივია (53) | 45.05 | 134 სენტ ლუსია (114) | 15.54 |
| 40 კანადა (65) | 44.89 | 135 ფარერები (120) | 14.79 |
| 41 ტრინიდადი (57) | 44.72 | 136 ბანგლადეში (138) | 14.32 |
| 42 ბელგია (24) | 44.49 | 137 ბურუნდი (146) | 13.65 |
| 43 ურუგვაი (32) | 44.08 | 138 დომინიკა (158) | 11.92 |
| 44 კორეა (46) | 44.05 | 139 იემენი (123) | 11.79 |
| 45 ჰონდურასი (49) | 43.87 | 140 მადაგასკარი (132) | 11.32 |
| 46 გაბონი (67) | 43.80 | 141 თურქმენეთი (133) | 11.15 |
| 47 შვეიცარია (18) | 43.54 | 142 ანტილები (125) | 10.92 |
| 48 ლიტვა (43) | 43.30 | 143 ბენინი (161) | 10.82 |
| 49 ალჟირი (48) | 43.03 | 144 ჩრდ. კორეა (117) | 10.45 |
| 50 ავსტრალია (51) | 42.99 | 145 ანტიგუა (137) | 10.12 |
| 51 კოტ დივუარი (20) | 42.61 | 146 იორდანია (143) | 9.72 |
| 52 ისრაელი (42) | 41.72 | 147 ლაოსი (152) | 9.52 |
| 53 პოლონეთი (33) | 41.05 | 148 კაიმანი (131) | 9.28 |
| 54 პერუ (69) | 40.20 | 149 პუერტო რიკო (128) | 9.17 |
| 55 იუგოსლავია (81) | 39.85 | 150 მავრიკეთი (154) | 8.68 |
| 56 კამერუნი (37) | 39.79 | 151 ნეპალი (147) | 8.58 |
| 57 ტაილანდი (77) | 38.74 | 152 ბოსნია (დ) | 8.36 |
| 58 სენეგალი (47) | 37.99 | 153 გაიანა (162) | 7.75 |
| 59 უკრაინა (71) | 37.18 | 154 ლიხტენშტაინი (157) | 7.16 |
| 60 საემიროები (75) | 37.04 | 155 კაბო ვერდე (144) | 7.15 |
| 61 ისლანდია (50) | 37.04 | 156 ყაზახეთი (163) | 7.05 |
| 62 ქუვეითი (84) | 36.98 | 157 ფიჯი (139) | 6.81 |
| 63 ნიგერია (27) | 36.96 | 158 ტაჰიტი (156) | 6.62 |
| 64 ჩრდ. ირლანდია (45) | 36.87 | 159 რუანდა (168) | 6.34 |
| 65 სალვადორი (82). | 35.84 | 160 სვაზილენდი (148) | 6.23 |
| 66 ზაირი (68) | 35.81 | 161 ბოტსვანა (155) | 5.96 |
| 67 მალი (52) | 35.78 | 162 ლესოტო (149) | 5.94 |
| 68 კუბა (96) | 35.73 | 163 ტაჯიკეთი (164) | 5.75 |
| 69 ყატარი (83) | 35.45 | 164 ტონგა (დ) | 5.70 |
| 70 ანგოლა (80) | 35.44 | 165 სან მარინო (151) | 5.65 |
| 71 ზიმბაბვე (59) | 35.43 | 166 ფილიპინები (166) | 4.99 |
| 72 კოსტა რიკა (78) | 35.18 | 167 ბერმუდა (140) | 4.77 |
| 73 გვინეა (63) | 34.90 | 168 ყირგიზეთი (172) | 4.62 |
| 74 სუდანი (86) | 34.45 | 169 პაპუა (დ) | 3.98 |
| 75 უნგრეთი (62) | 34.29 | 170 ბრუნეი (167) | 3.80 |
| 76 ჩინეთი (66) | 34.19 | 171 სოლომონი (170) | 3.77 |
| 77 სლოვენია (71) | 34.09 | 172 მაკაო (180) | 3.66 |
| 78 კვიპროსი (73) | 33.52 | 173 პაკისტანი (160) | 3.62 |
| 79 ფინეთი (44) | 33.51 | 174 ტაივანი (178) | 3.42 |
| 80 უელსი (61) | 33.42 | 175 სეიშელი (176) | 3.19 |
| 81 უგანდა (74) | 33.24 | 176 მალდივეთი (169) | 2.99 |
| 82 ლატვია (60) | 33.11 | 177 დასავლეთი სამოა (დ) | 2.70 |
| 83 ირანი (108) | 33.00 | 178 სომალი (165) | 1.93 |
| 84 სიერა ლეონე (58) | 32.78 | 179 ნიკარაგუა (174) | 1.92 |
| 85 მოზამბიკი (76) | 32.55 | 180 ვანუატუ (179) | 1.87 |
| 86 მაკედონია (94) | 32.38 | 181 არუბა (171) | 1.44 |
| 87 ტოგო (92) | 31.70 | 182 ბელიზი (173) | 1.14 |
| 88 მალავი (89) | 30.03 | 183 ცენტრალური აფრიკა (დ) | 0.98 |
| 89 ტანზანია (70) | 29.63 | 184 ლიბია (175) | 0.35 |
| 90 ბელარუსი (88) | 29.42 | 185 ჯიბუტი (177) | 0.27 |
| 91 ომანი (98) | 29.28 | 186 კამბოჯა (180) | 0.23 |
| 92 სინგაპური (104) | 28.20 | 187 ანდორა (დ) | 0.07 |
| 93 სენტ ვინსენტი (95) | 28.19 | 188 ჩადი (180) | 0 |
| 94 ლიბერია (87) | 27.96 | 189 კუკის კუნძულები (დ) | 0 |
| 95 საქართველო (79) | 27.75 | 190 გუამი (დ) | 0 |

(1) — შარშანდელი ადგილი, (დ) დებიუტანტი

# უნდა ვითამაშო...



საფეხბურთო სამყაროში, მითუმეტეს, საქართველოში, ფეხბურთს ჩამოშორებული მრავალი ახალგაზრდა ასცდა გზას: ზოგი საერთოდ გადაიხვეწა საქართველოდან, ზოგიც დაიღუპა, ზოგს ციხიდან დღემდე ვერ გამოუღწევია. აი, გზას აცდენილი კაცი, ლამის ჭაობიდან ფეხბურთს დაბრუნებოდეს, უიშვიათესი მოვლენაა, თუმცა, საბედნიეროდ, ასეთებიც მოიძებნებიან. 20 წლის ლევან ბერიშვილმა იმდენი ნახა და გადაიტანა, ზოგს ბარემ მთელი ცხოვრება რომ სჭირდება. იყო დრო, ლევანი დაღუპვის პირას იყო მისული, მაგრამ სულით ვაჟკაცმა ერთხელ და სამუდამოდ რომ თქვა გადაჭრით, მორჩა, ფეხბურთი უნდა ვითამაშოო, ამ დღის მერე ბურთის გარდა არაფერი ახსოვდა და აკი დაუბრუნდა კიდეც ფეხბურთს, თანაც, არცთუ ურიგოდ, ახალგაზრდული ნაკრების წევრიც კი გახდა, ყოველ შემთხვევაში, გუცაევი ნაკრების შეკრებებზე იწვევდა და ბათუმში უკრაინასთან ითამაშა კიდეც. ის კი არა, უცხოური კლუბებიც დაინტერესდნენ მისით. ერთი შეხედვით ჩია ბიჭია, მაგრამ, თუ კარგად დააკვირდები, უმალ აღმოაჩენ ძარღვიან, ფაქტიურად, ჩამოყალიბებულ კაცს. მინდორზეც ისეთივეა, როგორიც ქუჩაში იყო, ჯიქურ შემტევი, ბოლომდე მებრძოლი, ულალატო და მოუღლელი. მოკლედ, ნაღდი ნახალოვკელი, ქალაქელი კაცია. აიეტის თასზეც იოლი გამოსარჩევია, „ძველი ბიჭისთვის“ დამახასიათებელი მიხვრა-მოხვრით და ნაიარევი სახით, ინტერვიუს კი მორჩილი კრავივით იძლევა.

**— ლევან, რა დაგიჯდა ფეხბურთში დაბრუნება, ალბათ, მხოლოდ შენ იცი და მაინც, თქვი, ვინძლო შენს მაგალითს სხვებმაც მიბაძონ და ნიჭიერი ბიჭები არ ქუჩამ ჩაყლაპოს...**

— ახლა რომ ვიგონებ, რა ცუდ დღეში ვიყავი და რას ჩავდიოდი, ჩემი თავი მძულს. არ ვიცი, რა მივაწერო ჩემი ფეხბურთში დაბრუნება, ალბათ, ღმერთმა ინება ასე. ფეხბურთის სიყვარულმა, ოჯახმა, ფეხბურთზე გაგიჟებულმა მამაჩემმა და ჩემმა ძმამ, ენრიკომ — ყველამ თავისი წვლილი შეიტანა ამაში. მაგრამ თქმა ერთია და გაკეთება — მეორე. ვისაც ფეხბურთი უთამაშია, იცის, რას ნიშნავს ტრავმის მერე დაკარგულის ანაზღაურება. აქ კი მთელი წლები, თანაც, უძვირფასესი პერიოდი იყო გაცდენილი. ერთი ეგ იყო — ვიცოდი, რომ, თუ ყველაფერს გავიღებდი, უეჭველად ვითამაშებდი და ღმერთიც გადმომხედავდა. ასეც მოხდა, ბლომად ოფლი კი დავღვარე, მაგრამ დღეს ფეხბურთში ვარ და ვფიქრობ, ყველა წინააღმდეგობა გადავლახე. ახლა არცერთ ძალას არ შესწევს ჩემი უკან დაბრუნება. ვგრძნობ, რომ შემიძლია ფეხბურთის თამაში, დიდი ფეხბურთისა და უნდა ვითამაშო.

**— გააჩნია, რას გულისხმობ დიდ ფეხბურთში...**

— თუ ძლიერ უცხოურ კლუბში თამაშს ჰქვია დიდი ფეხბურთი, სწორედ მაგას ვგულისხმობ და ვითამაშებ კიდეც.

**— კი მაგრამ, საიდან ასეთი თავდაჯერება?**

— ყველაზე ძნელი ფეხბურთში მობრუნება გახლდათ, თორემ ახლა გზაზე ვარ, შრომაც არ მეზარება. მას შემდეგ, რაც გადავწყვიტე რომ ფეხბურთი უნდა ვითამაშო, სიგარეტისა და ღვინის გემო დავივიწყე. თავს ვიკლავ, ძალ-ღონეს არ ვზოგავ და რატომ არ უნდა გამიმართლოს? თანაც, ამდენი გამოცდის შემდეგ ღმერთმა სწორი გზა მიჩვენა. ამიტომაც მაქვს იმედი...

**— მაშ, გჯერა ბედისწერის...**

— უთუოდ. ერთხელ, ზუგდიდში თამაშისას ფორმა მომპარეს და, თუ მანამდე 5 მატჩში 12 გოლი გავიტანე, მერე ერთი ბურთიც ველარ შევაგდე. ამგვარი რამ ბევრჯერ შემთხვევია, ყველაფრის ჩამოთვლა არ მინდა...

**— რომელ მწვრთნელთან დაიწყე?**

— საუკეთესოსთან — რეზო გაგუასთან.

**— „სამტრედიიდან“ რატომ მოდიხარ?**

— უფულობაა, შეპირებული არ მიგვილია. ალბათ, რეზო ძოძუაშვილს გავყვები ლატვიაში, ამ ჯერზე ცუდი ვარიანტი არ არის, მერე ვნახოთ...

**— სეზონი ზესტაფონში დაიწყე...**

— უეფას თასის გამო. ალბათ, ჯობდა არ წამოვსულიყავი.

**— ნაკრებშიც გამოგიძახეს...**

— შეკრებაზე ვყავდი გუცაევს, უკრაინაშიც წამიყვანა, მაგრამ ჩემს გარდა ყველა ათამაშეს. იტალიაში თამაშის წინ ისრაელში ვიყავი, მეორე ლიგის „აკომაკაბიში“ მტოვებდნენ — ორ მატჩში ორი გოლი გავიტანე, მაგრამ ჩაჩუამ მითხრა, „სამტრედიაში“ ჩამოდი და უფრო ძლიერ ევროპულ გუნდს გაგიხერხებო. ისრაელიდან აღარ მიშვებდნენ, მე კი მაინც დავბრუნდი საქართველოში და... ნაკრებიც დავკარგე და ვერც საზღვარგარეთულ კლუბს ველირსე.

**— იტალიამდე თურქეთში იყავი...**

— „სამსუნსფორში“ გამსინჯეს, მე თვითონ წავედი, ურიგოდ არ მითამაშია. მწვრთნელი რუმინელი ჯიჯი მუნტესკუ იყო, მეკარე — სტელია, ტიმოფტეც ჰყავდათ, ახლა „ბოავიშტაში“ რომ თამაშობს. მუნტესკუ ორივეს გაყიდვას უპირებდა, მე კი — დატოვებას, რაკილა, ფაქტიურად, მუქთად ჩამიგდო ხელში. სამწუხაროდ, რუმინელები მაშინვე ვერ გაიყიდნენ და უცხოელთა ლიმიტის გამო ჩემი დარჩენა არ შეიძლებოდა. იმ კლუბში თავისუფლად ვითამაშებდით მეც და ჩემი ძმაც...

**— ენრიკო ახლა დაშავებულია...**

— ორივე მუხლი საოპერაციო აქვს, მაგრამ მაინც თამაშობდა „ყინვალში“. მასაც ჰქონდა უცხოეთში წასვლის შანსი, მაგრამ „სიონთან“ ბოლო მატჩში (მაშინ ორივე „შევარდენში“ ვთამაშობდით) მუხლი შემოუტრიალდა და მენისკი დაემართა. მუხლიც შემოუტრიალდა და საქმეებიც უკან-უკან წაუვიდა. მე თუ მკითხავ, თვითონ დაიღუპა თავი. ახლა ძალიან უნდა მოინდომოს, დიდი ფეხბურთი ისევ რომ ითამაშოს. სიჯიუტე და მოთმინება ჯიშად მოგვდგამს, მთავარი მონდომებაა. ერთი სურვილი მაქვს — ისეთი ფეხბურთი ვითამაშო, მსოფლიოში რომ დამიგდოს სახელი. მჯერა კიდეც, რომ ვითამაშებ...

-- ვიცი, რა ძნელია ფეხბურთზე გულაყრილმა ისევ დაიწყო თამაში. ლევანმა ეს მოახერხა და ვფიქრობ, დიდ ფეხბურთელობასაც შესძლებს. უნდა შეძლოს, რაკილა მისი ნაბიჯი მომავალში საქართველოში სამაგალითო იქნება. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ლევან...

**გამუკა კვარაცხელია**

## ინგლისი

XVII ტურის მატჩი

**შეფილდი 1:1 მანჩესტერი**

**შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, უოქერი, ჰითინგემი, კარბონე (ბლინკერი 85), ბუთი (უერსტი 76), ჰაიდი (ტრასტფული 46), ნიკოლი, სტეფანოვიჩი**

**მანჩესტერ იუნაიტედი: შმეიხელი, გ.ნევილი (ბექემი 71), ირვინი, მეი, პალისტერი, კანტონა, ბათი, გიგზი, სქოულზი, იონსენი (ფ.ნევილი 82), სოლსკიაერი**

**გოლი: კარბონე (57), სქოულზი (61)**

**გაფრთხილება: მეი**

„ჰილსბოროზე" მისულმა 38 000 მაყურებელმა მოულოდნელობით აღსავსე თამაში იხილა. მეტოქეები პირველივე წუთებიდან თავდაუზოგავად ეკვეთნენ ერთმანეთს და ბევრი საგოლე მომენტიც შექმნეს, ბოლოს კი მაინც საყაიმო ანგარიშით გაიყარნენ. საწყის 20 წუთში მასპინძლები უფრო ყოჩაღობდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდა იტალიელი კარბონე. მე-18 წუთზე მისი დარტყმული საჯარიმო ძლივს მოიგერია შმაიხელმა. მთელი პირველი ტაიმი „შეფილდმა" შეტევებში გაატარა, სტუმრები კი კონტრშეტევებით პასუხობდნენ, საკმაოდ მწვავედაც და რამდენჯერმე პრესმენის კარი გოლს გადაურჩა. მეორე ტაიმში მაყურებელმა გოლებიც იხილა. 57-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ტრასტფულმა დაახლოებით 50-მეტრიანი რეიდი განახორციელა და გამოზომილი პასით შმაიხელის პირისპირ დატოვა კარბონე. მანჩესტერელ მცველებს თამაშგარე ეგონათ, ფორვარდს ხელი არ შეუშალეს, მსაჯმა კი გატანილი ჩათვალა. მასპინძლებს დიდხანს არ დასცალდათ სიხარული, ოთხ წუთში სქოულზმა შორეული დარტყმით ანგარიში გააყაიმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 18 | 11 | 4 | 3 | 35:17 | 37 |
| არსენალი | 17 | 10 | 5 | 2 | 33:16 | 35 |
| უიმბლდონი | 17 | 10 | 4 | 3 | 30:17 | 34 |
| ნიუკასლი | 17 | 9 | 3 | 5 | 27:19 | 30 |
| ასტონ ვილა | 17 | 9 | 3 | 5 | 22:15 | 30 |
| მანჩესტერი | 17 | 7 | 7 | 3 | 32:25 | 28 |
| ევერტონი | 17 | 7 | 6 | 4 | 26:20 | 27 |
| ჩელსი | 17 | 6 | 7 | 4 | 25:26 | 25 |
| შეფილდი | 17 | 6 | 7 | 4 | 18:19 | 25 |
| ტოტენჰემი | 17 | 7 | 3 | 7 | 17:17 | 24 |
| დერბი ქაუნთი | 17 | 5 | 7 | 5 | 19:20 | 22 |
| ლესტერი | 17 | 6 | 3 | 8 | 17:22 | 21 |
| ლიდსი | 17 | 6 | 3 | 8 | 15:20 | 21 |
| სანდერლენდი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:21 | 20 |
| ვესტ ჰემი | 17 | 4 | 6 | 7 | 15:22 | 18 |
| მიდლსბრო | 18 | 3 | 6 | 9 | 21:33 | 15 |
| ბლექბერნი | 17 | 2 | 7 | 8 | 16:22 | 13 |
| საუთჰემპტონი | 17 | 3 | 4 | 10 | 24:31 | 13 |
| ქოვენთრი | 17 | 2 | 7 | 8 | 12:24 | 13 |
| ნოტინგემი | 17 | 1 | 7 | 9 | 14:29 | 10 |

პრემიერლიგის ბომბარდირები: რაიტი (არსენალი) 13, ფაულერი (ლივერპული) 9, რავანელი (მიდლსბრო) 9, შირერი (ნიუკასლი) 9, ლე ტისიე (საუთჰემპტონი) 8, იორკი (ასტონ ვილა), ეკოკუ (უიმბლდონი) 8, ვიალი (ჩელსი) 8.

**პირველ დივიზიონში გაიმართა ერთი შეხვედრა: ვესტ ბრომვიჩი — ნორვიჩი 5:1**

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

### VI ჯგუფი

**მალტა 0:3 ესპანეთი**

იულენ გერეროს ჰეთ-თრიკმა ათკაციან ესპანეთს იმავე რაოდენობის მალტასთან 3:0 მოაგებინა. გერერომ მე-8, 25-ე და 33-ე წუთებზე გაიტანა.

კაცნაკლულნი მალტელები გაცილებით ადრე დარჩნენ, ვიდრე სტუმრები. მიზეზი ორივე შემთხვევაში მეორე ყვითელი ბარათი იყო, ოღონდ მასპინძლებს შემცირებამ მე-40 წუთზე უწიათ, ესპანელებს კი 86-ზე. მალტას რუბენ დებონო დაუსაჯეს, ესპანეთს — გილერმო ამორი. ახლა, მეექვსე ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 5 | 4 | 0 | 1 | 17:4 | 12 |
| ესპანეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:2 | 10 |
| სლოვაკეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:1 | 4 |
| ფარერები | 5 | 0 | 0 | 5 | 5:22 | 0 |
| მალტა | 4 | 0 | 0 | 4 | 0:21 | 0 |

## „იუვენტუსი" გავარდა

იტალიის თასის მეოთხედფინალში ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასების მფლობელმა „იუვენტუსმა" შინ 1:1 ითამაშა „ინტერთან". პირველ შეხვედრაში მილანელებს 3:0 ჰქონდათ მოგებული.

# გვიანია თითზე კბენა

## აზიის თასი

### ნახევარფინალები

**საუდის არაბეთი 4:3 ირანი**

არაბებმა ირანელებს პენალტებით მოუგეს, მას მერე რაც ძირითადი და დამატებითი დრო უშედეგოდ გაილია. ხუთხუთი თერთმეტმეტრიანის შემდეგ ანგარიში 3:3 იყო. ირანელთა მეექვსე დარტყმა მეკარემ, მოჰამედ ალ დაეიამ მოიგერია, მცველმა მადანიმ კი შანსი ხელიდან არ გაუშვა და წაგებულთა 15 ათას გულშემატკივარს სიმწრით ენა ჩააკვნეტინა.

საუდელებს ძირითად დროშიც შეეძლოთ გამარჯვება. თამაშის განმავლობაში (ბოლოს 89-ზე) მათ ორჯერ გაარტყეს ბურთი ხარიხას, დამატებითის 24-ე წუთზე კი ირანელთა გოლკიპერის ნიმა ნაკისას ოსტატობამ „უეცარი სიკვდილისგან" იხსნა თავისი გუნდი. მიუხედავად ამისა, უპირატესობას ძირითადად ირანელები ფლობდნენ. საბოლოოდ არაბებმა ჯგუფურ ტურნირში 0:3 დამარცხებისთვის შური იძიეს, ირანელი თავდამსხმელის, მეოთხედფინალში ოთხი გოლის ავტორის ალი დაეის სანახავად კი ბუნდესლიგის „არმინიადან" მიაშურეს აზიის სპეციალისტებმა.

საუდელთა ფინალში გასვლამ, ბუნებრივია, ამ ქვეყნის ფეხბურთის მიმართ ინტერესი გაზარდა. გამოითქვა აზრი, რომ მათ ტურნირზე თავიანთთვის უჩვეულო ფეხბურთი ითამაშეს. თუ ადრე საუდელებს ბრაზილიური სტილის მიმდევართ უწოდებდნენ, ახლა „საუდის სტილზე" ალაპარაკდნენ.

— მე მათ საუდის სტილით ვათამაშებ. რა საჭიროა ბრაზილიური მანერა? — იკითხა მათმა პორტუგალიელმა მწვრთნელმა ედუარდო ვინგადამ — საუდელებს თავისებური მენტალიტეტი და ცხოვრების წესი აქვთ. მე მინდა ამ ხალხის საუკეთესო თვისებები მათ ფეხბურთში გადავიტანო.

ვინგადამ თავის ფეხბურთელთაგან, საგანგებოდ, 19 წლის მცველი ჰუსეინ სულეიმანი გამოჰყო, ზოგადად კი თქვა, რომ გუნდის საშუალო ასაკი 23 წელია და თუ არაბები ისურვებენ, იგი ამ შემადგენლობასთან სიამოვნებით განაგრძობს მუშაობას.



საუდის არაბეთი — ირანი. აჰმედ მადანის გამარჯვების პენალტის შემდეგ

**საემიროები 1:0 ქუვეითი**

ჩემპიონატის მასპინძლებმა ფინალში მუშტით გაიკაფეს გზა. არაბებს და ქუვეითელებს დიდი ურთიერთსიყვარული არც ადრე ჰქონიათ და ამოდენა შეჯიბრების ნახევარფინალს ისე როგორ გაუშვებდნენ, არ ეძიძგილავათ.

მატჩის ერთადერთი გოლი 70-ე წუთზე გავიდა, როცა ქუვეითელთა დაცვამ ვერ იხელთა ჰასან აჰმედი, რომელმაც მუჰამედ მუჰამედის კუთხური გოლად გარდასახა.

45-ე წუთზე მასპინძელთა მცველმა ჰასან მუბარაქმა სტუმარ ბაშარ აბდულაზიზს გაარტყა. ცოტა ხნის შემდეგ თამაში მოედნის სხვა მონაკვეთში რომ მიმდინარეობდა, მუბარაქმა იმავე აბდულაზიზს თვალში იდაყვიც უთავაზა. იაპონელმა მსაჯმა ოკადა მასაიოშიმ ინციდენტს მხოლოდ ყვითელი შეფასება მისცა. მეორე ტაიმში რომ დაიწყო და თერთმეტი წუთი მიილია, ქუვეითელთა სხვა ფეხბურთელი, ჯამალ აბდულ რაჰიმი ჩაიკეცა. დამნაშავეს ადნან თალიანის არბიტრმა ისევ ყვითელი შებედა. საგულისხმოა, რომ ამ გუნდებმა ჯგუფური ტურნირის მატჩშიც ითამაშეს (ისიც საემიროებმა მოიგო 3:2) და მაშინაც ქუვეითელებს გვარიანი მუჯლუგუნები მოხვდათ.

ფინალი და მესამე ადგილისთვის შეხვედრა დღეს გაიმართება

ფიფა კი შეშფოთებულია. საქმე ისაა, რომ მსოფლიო ფეხბურთის მთავარი ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს, აზიელთა თამაშის ცქერამ ლამის გული შეუღონა. ისიც ითქვა, ფეხბურთის საქმე ამ კონტინენტზე უკან წასულაო. აზიის ნაკრებთა დონე, სადღეისოდ, აფრიკისაზე გაცილებით დაბალია, სამხრეთ ამერიკა და ევროპა კი მათთან უბრალოდ არ უნდა ახსენო. ყოველივე ეს კი ხდება მაშინ, როცა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლებად სამხრეთ კორეა და იაპონიაა დასახელებული. ფიფას წარმომადგენლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ ჩამორჩენილი კონტინენტიდან, მომავალში, მსოფლიოს პირველობაზე შეძლებისდაგვარად ცოტა გუნდი უნდა დაუშვან, რათა პირველობა ფარსად და მასხარაობად არ აქციონ. ერთ-ერთი ოფიციალური პირის აზრით, იაპონია და კორეა რობოტების სტილით თამაშობენ, ტექნიკასა და სათამაშო ფანტაზიაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია.

მოკლედ, 2002 წლის ჩემპიონატის ამ ორ ქვეყანაში დანიშვნას ფიფა უკვე ხმამაღლა ნანობს, ერთადერთი იქნებ ზარალში მაინც არ დავრჩეთო, უთქვამს ზემოხსენებულ წარმომადგენელს.

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურ** „ფიორენტინას" ორმა პრემიერლიგელმა — „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „ბლექბერნმა" 45 მილიონი გირვანქა შესთავაზა ოთხ ფეხბურთელში. მანჩესტერელები ყაბულს არიან 20 მილიონი გირვანქა გაიღონ ბატისტუტას შესაძენად, 7 მილიონს კი სტეფან შვარცში იხდიან. ბლექბერნელებს გადაწყვეტილი აქვთ 11 მილიონ გირვანქად იყიდონ პორტუგალიელი რუი კოშტა, 7 მილიონად კი ლორენცო ამორუზო.

**ჰოლანდიელი თავდამსხმელის პიერ ვან ჰუიდონკის შეძენა ისურვა როტერდამის „ფეიენოორდმა". ფორვარდის ამჟამინდელ პატრონებს, გლაზგოს „სელტიკის" უფროსობას ჰოლანდიელთა კლუბის დირექტორი ქაუბრა. შოტლანდიელებმა 4 მილიონი გირვანქა მოითხოვეს.**

**ბანელი** ტონი იებოა მომავალ კვირასვე შეძლებს „ლიდსის" ძირითადში თამაშს. მან უკვე მოირჩინა მარტში მიღებული ტრავმა და სარეზერვო გუნდშიც ხეირიანად ათამაშდა.

**ინგლისში გადადგა პრემიერლიგის კლუბ „ნოტინგემ ფორესტის" მწვრთნელი ფრენკ კლარკი. 53 წლის მწვრთნელი კლუბს 1993 წლიდან ედგა სათავეში და აქ ბრაიან კლაფის ნაცვლად მოვიდა. პირველსავე სეზონში კლუბი პრემიერლიგაში დააბრუნა, მეორე წელს კი უეფას თასის მეოთხედფინალში გაიყვანა. ორი წლის ნაშრომი კლარკს წლევანდელმა სეზონმა წყალში ჩაუყარა: კლუბმა ერთხელაც ვერ მოიგო და ცხრილის ბოლოში მიინაჩალებს.**

**იტალიური** „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ კლუბი არ აპირებს პროტესტის შეტანას ფიფა-ში ლიბერიელ ფორვარდ ვეას ევროტურნირებში ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო. გეხსომებათ, „პორტუსთან" თამაშისას ვეამ თავით ცხვირი გაუტეხა პორტუგალიელ ჟორჟე კოშტას, რადგან ამ უკანასკნელმა, ზანგი ფორვარდის თქმით, იგი რასისტული სიტყვებით შეამკო. ახლა ვეა მომავალი სეზონის ევროტურნირების პირველ 5 მატჩს გამოტოვებს. ვეამ, რომელიც ფიფამ წინა სეზონში სამართლიანი თამაშის პრიზითაც დააჯილდოვა, საბოდიშო წერილი გაუგზავნა იოზეფ ბლატერს უტაქტო საქციელისა და ფიფას იმედების გაცრუებისთვის.

**ინგლისის პრემიერლიგის „ნიუკასლმა" სამომავლოდ გეგმები დასახა. კლუბის პატრონებს გადაუწყვეტიათ, საკუთარ „სენტ ჯეიმს პარკზე" თამაშის ნაცვლად 20 თვეში ახალი სტადიონი ააშენონ და „ნიუკასლი" იქ ათამაშონ. მშენებლობა 100 მილიონამდე დოლარი დაჯდება. დასაჯდომი ადგილების რაოდენობა 55 000-მდე გაიზრდება. კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი მოთამაშეების ყიდვისა და ჩემპიონად გახდომის ახალი გეგმაც შეიმუშავა.**

**ხორვატიის** ნაკრებისა და სპლიტის „ჰაიდუკის" მცველი ბუტოროვიჩი „პორტუში" გადავიდა. პორტუგალიელებმა უკვე გადაიხადეს სატრანსფერო 300 000 დოლარი. ბუტოროვიჩი კლუბში თამაშს იანვრის დამდეგიდან შეუდგება, ჩემპიონთა ლიგაში კი ამ სეზონში ვერ ითამაშებს, რადგან „ჰაიდუკის" სახელით უკვე იასპარეზა უეფას თასზე.

**არგენტინის ჩემპიონის წოდება მოიპოვა „რივერ პლეიტმა", რომელმაც ბოლო ტურში 3:0 დაამარცხა „ველეზი". ეს შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ბუენოსაირესელი არიელ ორტეგა გააძევეს კიდეც, თუმცა მისმა კლუბმა მაინც დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. „რივერ პლეიტს" წვრთნის სეზარ ლუის მენოტი, ვინაც არგენტინა 1978 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახადა. კლუბმა 25-ედ დაისაკუთრა ჩემპიონობა.**

**საფრანგეთის** ჩემპიონატში ხუთშაბათს გაიმართა ერთი შეხვედრა. „ბასტიამ" დრობნიაკის, პერესის და მოროს გოლებით დაამარცხა „ბორდო" —3:1. დამარცხებულთა შემადგენლობაში თავი გამოიჩინა ტოლომ.

**ჰოლანდიის ჩემპიონატშიც ორი მატჩი ხუთშაბათს გაიმართა. „ფეიენოორდმა" რონალდ კუმანის პენალტის წყალობით 1:0 მოუგო „როდას", ხოლო „ბრედას" და „ფორტუნას" მატჩი ფრედ 2:2 დასრულდა.**

**ბრაზილიის** ნაკრებმა რონალდოს მიერ 67-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით მონაუში მინიმალური ანგარიშით დაამარცხა ბოსნიის ნაკრები.

**გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა განაცხადა, რომ ყოფილი სამხრეთაფრიკელი შონ დანდი, რომელიც ახლა ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია, ავტომატურად ვერ მოხვდება ნაკრებში. ფოგტსის თქმით, თუ დანდი კონკურენციას გაუწევს კლინსმანს, მაშინ ნაკრებში თამაშიც შეეძლება, მანამდე კი დუბლიორობას უნდა დასჯერდეს. ამასობაში „კარლსრუეს" მწვრთნელმა ვინფრიდ შეფერმა განაცხადა, რომ თუ მიუნხენის „ბაიერნი" დანდის ყიდვას მოინდომებს, არაფერი გამოუვა: „კლინსმანი რომ წასვლას აპირებს, ეს ახალი ამბავი არ არის. „ბაიერნმა" ჩვენგან უკვე წაიყვანა ბოლი, კანი და კროიცერი. კმარა! მეტი აღარ შეიძლება. ჩვენც გვინდა კარგი კლუბის შექმნა". კლინსმანი სეზონის ბოლოს „ბაიერნის" დატოვებას აპირებს და სწორედ ამიტომ დაინტერესდა დანდით მიუნხენელთა ხელმძღვანელობა.**

**ბრაზილიის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ტელე სანტანა სათავეში ჩაუდგა „პალმეირასს" ამ კლუბში იგი მეორედ მივიდა, პირველად აქ 1979 წელს მუშაობდა. 65 წლის სანტანამ შეცვალა ვონდერლეი ლუქსემბურგო.

**გერმანიის ბუნდესლიგის აუტსაიდერს მიონხენგლადბახის „ბორუსიას", რომელიც ცხრილში ბოლოდან მეორეა, ახალი მწვრთნელი დაენიშნა. ბერნდ კრაუსი შეცვალა ჰანს ბონგარცმა.**





**ამ საქმის ვერ გავიგებ**

საკვირველია საფეხბურთო მწვრთნელის ხელობა. ძალიან გაგიჭირდება გაიგო, რატომ გახდა ესა თუ ის კაცი კარგი მწვრთნელი.

ამისთვის რომ დიპლომი არ არის საკმარისი, ცხადია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ხშირად უდიპლომო მწვრთნელებიც არ ვარგანან მწვრთნელებად.

მწვრთნელის ხელობა დიდი საიდუმლოა. არსებობს აზრი, რომ დიდი ფეხბურთელები კარგი მწვრთნელები ვერ გამოდიან და ამის მაგალითად ალფრედო დი სტეფანო მოჰყავთ ხოლმე. არსებობს მტკიცება, რომ საშუალო ფეხბურთელები დიდი მწვრთნელები გამოდიან და ამის საბუთად მახსენდება სიტყვები ბობ პეისლის ნეკროლოგიდან, „უორლდ სოკერმა" რომ დაბეჭდა: „ბობმა „ლივერპულის" უბრალო ნახევარმცველის მაისური გაიხადა და მწვრთნელთა სკამზე გადაინაცვლა, რათა უკვდავ ვინმედ ქცეულიყო".

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ პირიქით მაგალითებიც ბევრია — კაიზერი ფრანცი მსოფლიოს ჩემპიონი შეიქნა მოთამაშედაც და გუნდის თავკაცადაც, ხოლო გრემ ტეილორი როგორც იყო უფერო ფეხბურთელი, ისეთ უფერო მწვრთნელადაც დარჩა.

ამიტომ ვამბობ, რომ მწვრთნელობა დიდი საიდუმლოა. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, როგორი ფეხბურთელი იყავი. შესაძლოა, შენ როგორც ფეხბურთელმა ვერ დაიქუხე კონტინენტური მაშტაბით, მაგრამ მწვრთნელობაში დიდი ამბები დაატრიალო: ისე, როგორც ფაბიო კაპელომ. ვის ახსოვდა 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიის მათხოვარი ნაკრების მცველი, იუვენტუსში მოხუც პროფესორად წოდებული კაპელო? ის კრუიფის ჩემპიონატი იყო, დღეს საუცხოო, ახირებული და რომანტიკოსი მწვრთნელისა. აიღო ფაბიომ და ბდღვირი გაადინა კრუიფს.

მწვრთნელობა სულ სხვა რამ არის, ვიდრე ფეხბურთელობა. ასე მგონია, რომ ამ ორ პროფესიას მხოლოდ მინდორი აკავშირებს.

არიან დიდი და საუცხოო მწვრთნელები, ფეხბურთი საერთოდ რომ არ უთამაშიათ. ჟოაო სალდანია ჟურნალისტი იყო, ეს ჭაბუკი ძაღლებული საკი ვეტერინარი და გამყიდველი მამამისის მაღაზიაში, ხოლო სქოთთა ახლანდელი, ალბათ საუკეთესო მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი ფიზკულტურის მასწავლებელი. მიდი ახლა და გაიგე.

მიდი და გაიგე, რატომ არის, რომ კაცი, რომელიც საკმაო საფეხბურთო ინტელექტს ფლობდა, როგორც ფეხბურთელი მეტად უბრალო მწვრთნელი, ან პირიქით, ძალიან კარგი მწვრთნელი გამოდის ხოლმე.

არა, არა, მწვრთნელობა ჭეშმარიტად საიდუმლოა.

დანიელ პასარელა ვაჟკაცობის, კლასის, მოულოდნელობის მაგალითი იყო მინდორზე. ის ნაკრების კაპიტანი გახლდათ. ნაკრების მწვრთნელი რომ შეიქმნა, ფეხბურთელებს დაერია და თმის სიგრძის ზომვა დაიწყო. მისი მწვრთნელობის შედეგი სავალალოა.

ასე მგონია, რომ ფეხბურთელი მხოლოდ ფეხბურთელია. ბოლოს და ბოლოს ის მოედნის ტყვეა, ხაზს იქეთ ერთი უბრალო ბიჭია და შეიძლება, ქუჩაში ვერც კი იცნო. მწვრთნელი კი, მწვრთნელი ეს ყველაფერია. მისი ფიქრები ბევრად უფრო რთული და მძიმეა, ვიდრე ფეხბურთელისა. ტვინისა და აზრის მარაგი, მოედანზე რომ საუცხოო რამედ გამოიყურება, მწვრთნელობაში სრულიადაც არ არის საკმარისი.

ერთი საქმეა, როცა კარგად ურტყამ და მოძრაობ მოედანზე, მეორე კი, როცა ასწავლი კაცს, როდის, როგორ და რანაირად დაარტყას, როგორ იმოძრაოს და სად დადგეს.

აი, სტენლი მეტიუზი იგონებს, ბიჭობაში კარის შორიახლოდან უზერხულად დავარტყი და ბურთი გოლს ავაცილეო. თამაშის შემდეგ მამაჩემი დამხვდა მოედნის კიდეზე და მითხრა, ახლა წადი და იმ ადგილიდან, საიდანაც კარს ააცილე, ასჯერ მაინც დაარტყი კარშიო. დავარტყი და შინ გვიან ღამით დავბრუნდითო, იხსენებს სერ სტენლი. მამამ კი მითხრა, ასეა ფეხბურთი, შრომა და ფიქრია, სხვანაირად არ გამოვაო.

მეტიუზის მამა ერთი უბრალო დალაქი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, მწვრთნელობისა და ფეხბურთის ბევრი რამ გაეგებოდა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური
20-23 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჰაიმი — ცვიკაუ | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| აინტრახტი — ლიუბეკი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| მეპენი — ოლდენბურგი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| უნტერჰახინგი — კაისლაუტერნი | 2,8 | 2,6 | 2,0 |
| კიკერსი — როტ ვაისი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| კარლ ცაისი — გიუტერსლოო | 1,4 | 2,6 | 5,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ურდინგენი — ლაიპციგი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| მაინცი — ჰერტა | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ვოლფსბურგი — ფორტუნა | 1,6 | 2,7 | 4,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XVIII ტური
21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — მიდლსბრო | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ჩელსი — ვესტ ჰემი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ევერტონი — ლიდსი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ლესტერი — ქოვენთრი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| მანჩესტერი — სანდერლენდი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ნოტინგემი — არსენალი | 3,4 | 3,0 | 1,6 |
| საუთჰემპტონი — დერბი ქაუნთი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ტოტენჰემი — შეფილდი | 1,45 | 2,9 | 4,7 |
| 0:1 | 2,4 | 3,4 | 1,7 |

22 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — უიმბლდონი | 1,5 | 2,8 | 4,4 |

23 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუკასლი — ლივერპული | 1,6 | 2,8 | 3,8 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXIV ტური
20-22 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრისტალ პალასი — ჩარლტონი | 1,25 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| გრიმსბი — ბრედფორდი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| ჰადერსფილდი — ქუინზ პარკი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| იფსვიჩი — სტოკი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ოლდემი — სიტი | 2,2 | 2,5 | 2,5 |
| პორტ ვეილი — ნორვიჩი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| რედინგი — პორტსმუთი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — ბარნსლი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| საუთენდი — ბირმინგემი | 2,2 | 2,5 | 2,5 |
| სვინდონი — ბოლტონი | 3,3 | 2,8 | 1,7 |
| ტრანმერი — ვულვერჰემპტონი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ვესტ ბრომვიჩი — ოქსფორდი | 1,8 | 2,8 | 3,0 |

### შოტლანდია. XVIII ტური
21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — დანდი იუნაიტედი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ჰართსი — რეინჯერსი | 4,4 | 2,8 | 1,5 |
| კილმარნოკი — აბერდინი | 3,3 | 2,8 | 1,7 |
| მოზერველი — დანფერმლაინი | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| რეით როვერსი — ჰიბერნიანი | 2,1 | 2,6 | 2,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XIV ტური
22 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — პერუჯა | 1,25 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ფიორენტინა — კალიარი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| მილანი — პარმა | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ნაპოლი — ლაციო | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| პიაჩენცა — იუვენტუსი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| რეჯანა — ინტერი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| რომა — ატალანტა | 1,35 | 2,9 | 6,0 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| სამპდორია — ვიჩენცა | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ვერონა — უდინეზე | 2,3 | 2,5 | 2,3 |

### იტალია. სერია B. XV ტური
21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოჯა — ჩეზენა | 1,5 | 2,8 | 4,4 |

22 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეჩე — ბრეშია | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| ლუკეზე — ბარი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| პადოვა — ჯენოა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| პალერმო — კრემონეზე | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| პესკარა — ემპოლი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| რავენა — სალერნიტანა | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| რეჯინა — კიევო | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| ტორინო — დი სანგრო | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ვენეცია — კოზენცა | 1,5 | 3,0 | 4,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. XVII ტური
22 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბილბაო — ესტრემადურა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ვალიადოლიდი — რეალი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| ბარსელონა — სელტა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| სპორტინგი — დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| ვალენსია — ერკულესი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| სევილია — ბეტისი | 3,6 | 3,2 | 1,6 |
| ლოგრონიესი — რაიო ვალეკანო | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| კომპოსტელა — ოვიედო | 1,7 | 2,8 | 3,8 |
| ტენერიფე — ესპანიოლი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| სარაგოსა — რასინგი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ატლეტიკო — სოსიედადი | 1,5 | 2,8 | 4,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XIII ტური
22 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენფიკა — მარიტიმუ | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ბრაგა — რიუ ავე | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| გიმარაეში — ლეცა | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| ჟილ ვისენტე — ფარენსე | 3,4 | 3,0 | 1,6 |
| სეტუბალი — ესპინიუ | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ლეირია — ბოავიშტა | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| შავეში — სპორტინგი | 4,4 | 3,2 | 1,4 |
| 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სალგეირუში — ამადორა | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ბელენენსეში — პორტუ | 6,5 | 3,6 | 1,2 |
| 1:0 | 2,7 | 3,4 | 1,6 |

### ბელგიის ჩემპიონატი
21-22 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სენტ ტრიუდენი — სტანდარდი | 5,0 | 3,2 | 1,35 |
| 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლიერსი — მოლენბეკი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| გენტი — ეკერენი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ანტვერპენი — შარლერუა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ანდერლეხტი — აალსტი | 1,1 | 4,2 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| გენკი — ლოკერენი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| მუსკრონი — ლომელი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჰარელბეკი — ბრიუგე | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| სერკლ ბრიუგე — მეხელენი | 2,2 | 2,5 | 2,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXI ტური.
21-22 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — ვალვაიკი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| როდა — ჰერენვენი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| ტილბურგი — უტრეხტი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ვოლენდამი — ვიტესი | 2,9 | 2,9 | 1,8 |
| ნაიმეგენი — ფეიენოორდი | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| ტვენტე — ალკმაარი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| აიაქსი — ეინდჰოვენი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| ბრედა — ხპარტა | 1,5 | 2,8 | 4,4 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XVII ტური
21 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — ბურსასფორი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |

22 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გაზიანთეფსფორი — ტრაბზონსფორი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| ბეშიქთაში — ანკარაგიუჯუ | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |

### ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| ინგლისი (XVIII ტური) | 25 და ნაკლები - 1,9 | 27 და მეტი 1,9 |
| იტალია (XIV ტური) | 22 და ნაკლები - 1,9 | 24 და მეტი 1,9 |
| ესპანეთი (XVII ტური) | 28 და ნაკლები - 1,9 | 30 და მეტი 1,9 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა. თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე; ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

## CROCO-2

### ტირაჟი №05

1. ნოტინგემი — არსენალი
2. საუთჰემპტონი — დერბი
3. ასტონ ვილა — უიმბლდონი
4. ნიუკასლი — ლივერპული
5. ბოლონია — პერუჯა
6. ნაპოლი — ლაციო
7. სამპდორია — ვიჩენცა
8. ვერონა — უდინეზე

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი'97

„სარბიელის“ ანკეტა

რამ გადაგვაწყვეტინა „სარბიელის“ მკითხველთა შეწუხება, იოლად მიგვიხვდებით: გვსურს, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ თქვენივე ინტერესი და მეტად გავითვალისწინოთ თქვენი სურვილები. თუ არ დაგვზარდებით და ქვემორე კითხვებზე გვიპასუხებთ, დიდად მადლიერნი დაგრჩებით.

შევსებული კითხვარი გამოაგზავნეთ მისამართზე: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208. ან ჩააბარეთ სპორტულ ლატარია „კროკუში“ (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში), ანაც გაზეთის კერძო გამავრცელებლებს („მაცნეს“ ჯიხურების გარდა).

✓ასაკი ............................................................

✓სქესი

❑ მამრობითი ❑ მდედრობითი

✓ოჯახური მდგომარეობა..........................................

✓თქვენი პროფესია ან ამჟამად რა დარგში საქმიანობთ

..............................................................................

✓რომელ ქალაქში ან სოფელში (თბილისელისთვის — რომელ უბანში) ცხოვრობთ?

..............................................................................

✓საიდან იღებთ სპორტულ ინფორმაციას?

❑ გაზეთებიდან ❑ ტელევიზიით

❑ რადიოდან ❑ ქუჩიდან

✓კიდევ რომელ (ქართულ და უცხოურ) გაზეთებს კითხულობთ?

..............................................................................

✓როდიდან კითხულობთ „სარბიელს“?

..............................................................................

რა სიხშირით კითხულობთ „სარბიელს“?

❑ ზოგჯერ ❑ რეგულარულად

✓თუ გყოფნით ფული ყველა ნომრის შესაძენად?

❑ დიახ ❑ არა

✓თუ „სარბიელი“ ყოველდღიური გახდა, შეძლებთ მის ყოველდღე ყიდვას?

❑ დიახ ❑ არა

✓როგორ კითხულობთ გაზეთს?

❑ თავიდან ბოლომდე ❑ ალაგ-ალაგ

❑ მხოლოდ ცალკეულ სპორტის სახეობებზე

✓თუ გყავთ გამორჩეული ავტორი?

..............................................................................

✓რომელი სახეობების შესახებ კითხულობთ?

❑ ფეხბურთი ❑ კალათბურთი ❑ ჭიდაობა

❑ რაგბი ❑ ჩოგბურთი ❑ ავტოსპორტი

❑ კრივი ❑ ჰოკეი ❑ თხილამურები

❑ველოსპორტი ❑ ხელბურთი ❑ ჭადრაკი

❑ ალპინიზმი ❑ ეგზოტიკური სახეობები ❑ სხვა

✓რა უფრო გაინტერესებთ ფეხბურთში?

❑ ქართული გუნდების ასპარეზობა საერთაშორისო სარბიელზე

შინაური შეჯიბრებები

❑ მიმოხილვა

❑ მატჩების რეპორტაჟები

❑ ინტერვიუები

❑ მოკლე ცნობები

❑ ქართველ ლეგიონერთა ამბები

ვისი?..........................................................................

უცხოური ფეხბურთი

❑ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები

❑ ევროთასები

❑ საფეხბურთო რუქასთან

❑ ინგლისის ჩემპიონატი

❑ იტალიის ჩემპიონატი

❑ სხვა ქვეყნების ჩემპიონატები

✓რა უფრო გაინტერესებთ კალათბურთში?

❑ ქართული გუნდების ასპარეზობა საერთაშორისო სარბიელზე

❑ შინაური შეჯიბრებები

❑ უცხოური კალათბურთი (NBA)

✓რა უფრო გაინტერესებთ რაგბში?

❑ ეროვნული გუნდი

❑ შინაური რაგბი

❑ უცხოური რაგბი

✓რომელ რუბრიკებს კითხულობთ?

❑ სახელი ❑ უცხო ხილი ❑ სვეტი

✓დაასახელეთ თემა ან საკითხი, რომელიც გაინტერესებთ, მაგრამ იშვიათად ან საერთოდ არ გხვდებათ „სარბიელში“

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

✓თქვენი აზრით, რას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება სამომავლოდ?

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

✓რა არ მოგწონთ ზოგადად ან რა არ მოგეწონათ „სარბიელში“ 1996 წელს?

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

✓როგორ შეაფასებდით „სარბიელის“ საქმიანობას 1996 წელს (ხუთბალიანი სისტემით)?

❑ 1 ❑ 2 ❑ 3 ❑ 4 ❑ 5

✓გთხოვთ, ქვემოთ უფრო ვრცლად გვაცნობოთ თქვენი სურვილები, მოგვაწოდოთ შენიშვნები და მოსაზრებები.

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

..............................................................................

# კალათბურთი

**ევროპის ჩემპიონატი**
**შესარჩევი ტურნირი**
**VIII ტური. 18-19 დეკემბერი**

A ჯგუფი

საბერძნეთი — ბოსნია 73:51
ისრაელი — საქართველო 86:74
სლოვაკეთი — ბელარუსი 81:86

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 8 | 7 | 1 | 652:548 | 15 |
| ბოსნია | 8 | 5 | 3 | 580:558 | 13 |
| ისრაელი | 8 | 5 | 3 | 679:607 | 13 |
| ბელარუსი | 8 | 4 | 4 | 612:646 | 12 |
| საქართველო | 8 | 2 | 6 | 612:676 | 10 |
| სლოვაკეთი | 8 | 1 | 7 | 597:693 | 9 |

B ჯგუფი

რუსეთი — ესტონეთი 91:69
გერმანია — ინგლისი 88:67
ლატვია — პორტუგალია 81:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 8 | 8 | 0 | 799:566 | 16 |
| ლატვია | 8 | 6 | 2 | 646:616 | 14 |
| გერმანია | 8 | 5 | 3 | 651:647 | 13 |
| ესტონეთი | 8 | 4 | 4 | 669:686 | 12 |
| ინგლისი | 8 | 1 | 7 | 561:714 | 9 |
| პორტუგალია | 8 | 0 | 8 | 594:696 | 8 |

C ჯგუფი

იტალია — ფინეთი 101:73
სლოვენია — მაკედონია 87:61
ჩეხეთი — უნგრეთი 80:82

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 8 | 7 | 1 | 669:540 | 15 |
| სლოვენია | 8 | 5 | 3 | 603:548 | 13 |
| უნგრეთი | 8 | 4 | 4 | 596:626 | 12 |
| მაკედონია | 8 | 3 | 5 | 629:681 | 11 |
| ფინეთი | 8 | 3 | 5 | 665:719 | 11 |
| ჩეხეთი | 8 | 2 | 6 | 646:696 | 10 |

D ჯგუფი

ხორვატია — ბულგარეთი 96:69
რუმინეთი — თურქეთი 58:73
უკრაინა — ჰოლანდია 98:57

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 8 | 7 | 1 | 689:560 | 15 |
| თურქეთი | 8 | 6 | 2 | 605:541 | 14 |
| ხორვატია | 8 | 5 | 3 | 630:516 | 13 |
| ბულგარეთი | 8 | 4 | 4 | 649:689 | 12 |
| ჰოლანდია | 8 | 2 | 6 | 591:646 | 10 |
| რუმინეთი | 8 | 0 | 8 | 553:720 | 8 |

E ჯგუფი

ლიტვა — შვედეთი 108:87
საფრანგეთი — შვეიცარია 76:61
ბელგია — პოლონეთი 85:89

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 8 | 8 | 0 | 646:500 | 16 |
| პოლონეთი | 8 | 4 | 4 | 666:638 | 12 |
| ლიტვა | 8 | 4 | 4 | 703:672 | 12 |
| ბელგია | 8 | 4 | 4 | 640:620 | 12 |
| შვედეთი | 8 | 3 | 5 | 571:622 | 11 |
| შვეიცარია | 8 | 1 | 7 | 509:687 | 9 |

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

18 დეკემბერი

**კლივლენდ კავალიერზი — ნიუ ჯერსი ნეთსი 99:81, ინდიანა პეისერზი — ორლანდო მეჯიქი 102:95, დეტროიტ პისტონზი — ნიუ იორკ ნიქსი 112:78, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — მილუოკი ბაქსი 111:105, დენვერ ნაგითსი — საკრამენტო კინგზი 95:79, ფინიქს სანზი — ვაშინგტონ ბულიტსი 114:107, სიეტლ სუპერსონიქსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 106:102, გოლდენ სტეიტ ვორიორზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 123:96**

19 დეკემბერი

**ტორონტო რეპტორზი — მილუოკი ბაქსი 96:93, ჩიკაგო ბულზი — შარლოტ ჰორნეთსი 93:72, იუტა ჯაზი — მაიამი ჰითი 94:87, სან ანტონიო სფურზი — ჰიუსტონ როკიტსი 115:101, დალას მავერიქსი — ვანკუვერ გრიზლიზი 105:98, ვაშინგტონ ბულიტსი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 102:93, საკრამენტო კინგზი — მინესოტა ტიმბერვულვზი 112:105**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

ატლანტიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 18 | 7 | 72,0 |
| ნიუ იორკი | 16 | 7 | 69,6 |
| ვაშინგტონი | 12 | 12 | 50,0 |
| ორლანდო | 9 | 11 | 45,0 |
| ფილადელფია | 7 | 16 | 30,4 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 15 | 25,0 |
| ბოსტონი | 5 | 17 | 22,7 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 22 | 3 | 88,0 |
| დეტროიტი | 19 | 4 | 82,6 |
| კლივლენდი | 15 | 8 | 65,2 |
| ატლანტა | 14 | 8 | 63,6 |
| შარლოტი | 13 | 11 | 54,2 |
| მილუოკი | 13 | 11 | 54,2 |
| ინდიანა | 11 | 11 | 50,0 |
| ტორონტო | 9 | 16 | 32,0 |

**დასავლეთის კონფერენცია**

შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიუსტონი | 21 | 4 | 84,0 |
| იუტა | 19 | 4 | 82,6 |
| დალასი | 9 | 14 | 39,1 |
| მინესოტა | 8 | 17 | 32,0 |
| დენვერი | 6 | 19 | 24,0 |
| სან ანტონიო | 5 | 17 | 22,7 |
| ვანკუვერი | 5 | 21 | 19,2 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერზი | 19 | 8 | 70,4 |
| სიეტლი | 18 | 9 | 66,7 |
| პორტლენდი | 13 | 12 | 52,0 |
| კლიპერზი | 10 | 15 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 17 | 34,6 |
| საკრამენტო | 9 | 17 | 34,6 |
| ფინიქსი | 8 | 16 | 33,3 |

## ათი მწვრთნელი, რომლებმაც ნბა-ს კვალი დაატყვეს

საკუთარ 50-წლიან იუბილესთან დაკავშირებით ნბა-მ გამოაქვეყნა ყველა დროის ათი საუკეთესო მწვრთნელის სია. გთავაზობთ ამ ხალხის ვინაობას და სამწვრთნელო კარიერას. მწვრთნელები დალაგებულნი არიან ანბანის მიხედვით.



რედ აუერბახი

**რედ, აუერბახი. 938 მოგება; 479 წაგება; 66,2 %**
მეორე ადგილზეა ნბა-ში მოგებული მატჩების რაოდენობით. მთავარი მწვრთნელის პოსტზე 20 სეზონის განმავლობაში მუშაობდა. 1965 წლის საუკეთესო მწვრთნელი. ნბა-ს 25-ე წლისთავთან დაკავშირებით აღიარეს ასოციაციის ყველა დროის სიმბოლური ნაკრების მწვრთნელად. 1980 წელს აღიარეს „ნბა-ს ისტორიაში უდიდეს მწვრთნელად". 1968 წელს აირჩიეს ნეისმითის სახელობის „საკალათბურთო დიდების დარბაზის" წევრად.

**ჩაკ დეილი. 564 მოგება; 379 წაგება; 59,8 %**
ნბა-ში მოგებული მატჩების რაოდენობით მე-14 ადგილზეა. მთავარი მწვრთნელის პოსტზე 12 სეზონის განმავლობაში მუშაობდა. 1989 და 1990 წლებში „დეტროიტ პისტონზი" ასოციაციის ჩემპიონი გახდა. 1992 წელს წვრთნიდა ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ აშშ-ის ნაკრებს — „ოცნების გუნდს". 1994 წელს აირჩიეს „საკალათბურთო დიდების დარბაზის" წევრად.

**ლენი ვილკენსი. 1027 მოგება; 858 წაგება; 54,5 %**
ნბა-ში მოგებული მატჩების რაოდენობით პირველ ადგილზეა. ამჟამად „ატლანტა ჰოქსის" მწვრთნელია. ამ გუნდს მეოთხე სეზონია უდგას სათავეში, სულ კი მთავარ მწვრთნელად 24-ე სეზონია მუშაობს. 1994 წლის საუკეთესო მწვრთნელი. 1996 წელს შეიყვანეს „ნბა-ს 50 საუკეთესო კალათბურთელთა სიაში". 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე წვრთნიდა ჩემპიონ აშშ-ის ნაკრებს. 1990 წელს აირჩიეს „საკალათბურთო დიდების დარბაზის" წევრად.

**ჯონ კუნდლა. 423 მოგება; 302 წაგება; 58,3 %**
1948-54 წლებში „მინეაპოლის ლეიკერზი" ექვსი ცდიდან ხუთჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი. მთავარი მწვრთნელის პოსტზე 11 სეზონის განმავლობაში მუშაობდა. მისმა „ლეიკერზმა" 1949-50 წლების სეზონში ნბა-ს მეოთხე შედეგს მიაღწია შინ მოგებული მატჩების პროცენტის მიხედვით (30 მოგება, 1 წაგება, 86,8 პროცენტი). 1995 წელს აირჩიეს „საკალათბურთო დიდების დარბაზის" წევრად.

**დონ ნელსონი. 851 მოგება; 630 წაგება; 57,5 %**
მე-6 ადგილზეა ნბა-ში მოგებული მატჩების მიხედვით. მთავარი მწვრთნელის პოსტზე 19 სეზონის განმავლობაში მუშაობდა. ერთადერთი კაცია, ვინც სამჯერ დაასახელეს წლის საუკეთესო მწვრთნელად — 1983, 1985 და 1992 წლებში. მისმა კლუბებმა 9-ჯერ გადააჭარბეს სეზონში მოგებათა 50 პროცენტს და 7-ჯერ გახდნენ დივიზიონის ჩემპიონები.

**პატ რაილი. 816 მოგება; 344 წაგება; 70,3 %**
ნბა-ში მოგებული თამაშების რაოდენობით მე-8 ადგილზეა. მე-800-ედ 1996 წლის 2 ნოემბერს მოიგო და ამ ზღვარს ყველა მწვრთნელზე სწრაფად მიაღწია. ამჟამად მეორე წელია, რაც „მაიამი ჰითის" მწვრთნელია, სულ კი თავის მე-15 სამწვრთნელო სეზონს ატარებს. 1982, 1985, 1987 და 1988 წლებში „ლოს ანჯელეს ლეიკერზი" ნბა-ს ჩემპიონი გახდა. 1990 და 1993 წლებში დაასახელეს წლის საუკეთესო მწვრთნელად.

**ჯეკ რემსეი. 864 მოგება; 783 წაგება; 52,5 %**
ნბა-ში მოგებული თამაშების რაოდენობით მე-5 ადგილზეა. მთავარი მწვრთნელის პოსტზე 20 სეზონის განმავლობაში მუშაობდა. 1977 წელს „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი" ნბა-ს ჩემპიონი გახდა. 1992 წელს აირჩიეს „საკალათბურთო დიდების დარბაზის" წევრად.

**ბილ ფიტჩი. 901 მოგება; 1009 წაგება; 47,2 %**
ნბა-ში მოგებული თამაშების რაოდენობით მე-4 ადგილზეა. მესამე წელია, რაც „ლოს ანჯელეს კლიპერზის" მწვრთნელია, სულ კი თავის 21-ე სამწვრთნელო სეზონს ატარებს. 1981 წელს „ბოსტონ სელტიქსი" ნბა-ს ჩემპიონი გახდა. 1976 და 1980 წლებში დაასახელეს წლის საუკეთესო მწვრთნელად.

**ფილ ჯექსონი. 434 მოგება; 163 წაგება; 72,7 %**
პირველ ადგილზეა ნბა-ში თამაშების მოგების პროცენტით. 8 სეზონია მწვრთნელობს და სულ „ჩიკაგო ბულზშია". 400 მოგებას 557 მატჩი მოანდომა, რაც მეორე შედეგია. 1991, 1992, 1993 და 1996 წლებში „ჩიკაგო" ნბა-ს ჩემპიონი გახდა. 1996 წლის საუკეთესო მწვრთნელი.

**რედ ჰოლცმანი. 696 მოგება; 604 წაგება; 53,5 %**
ნბა-ში მოგებული მატჩების რაოდენობით მე-11 ადგილზეა. მთავარი მწვრთნელის პოსტზე 18 სეზონის განმავლობაში მუშაობდა. 1970 და 1973 წლებში „ნიუ იორკ ნიქსი" ნბა-ს ჩემპიონი გახდა. 1970 წლის საუკეთესო მწვრთნელია. 1985 წელს აირჩიეს „საკალათბურთო დიდების დარბაზის" წევრად.

# ხელბურთი

## შორი გზა იტალიამდე

**საკვალიფიკაციო**
**შვეიცარია, ფინეთი, ბელგია, საქართველო**
**შესარჩევი ჯგუფი**
**ისლანდია, ლიტვა, იუგოსლავია და საკვალიფიკაციოში გამარჯვებული**

გაიმართა ევროპის ხელბურთელ ვაჟთა 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების წილისყრა. საქართველოს ნაკრები ითამაშებს საკვალიფიკაციო ტურნირში შვეიცარიასთან, ფინეთთან და ბელგიასთან. ამ ჯგუფის გამარჯვებული დაემატება ისლანდიას, ლიტვასა და იუგოსლავიას და მათთან ერთად გაითამაშებს ფინალის ერთ ან ორ საგზურს: გამარჯვებული პირდაპირ ფინალში მოხვდება, ხოლო მეორე ადგილზე გასული სხვა ჯგუფების მეორე გუნდებთან ერთად იბრძოლებს ფინალში მოსახვედრად. ფინალი 1998 წელს გაიმართება იტალიაში.

ჩვენს საკვალიფიკაციო ჯგუფში ფავორიტად შვეიცარია უნდა მივიჩნიოთ. შვეიცარიელები ბრწყინვალედ გამოვიდნენ 1993 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც მეოთხე ადგილი დაიკავეს. ურიგოდ არც 1995 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უთამაშიათ — იქ მეშვიდენი იყვნენ. თუმცა, შემდეგ შვეიცარიელთა საქმე უკანუკან წავიდა — ისინი ვერ გავიდნენ მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფიდან.

ახლა ჩვენი გუნდის სხვა მეტოქეებზე: ფინელებს საქართველოს ნაკრები ევროპის წინა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში შეხვდა და ორივე მატჩი დათმო სამი და ერთი ბურთის სხვაობით. მაშინ ორივე შეხვედრა სტუმრად ვითამაშეთ. დაახლოებით ასეთივე ძალისაა ბელგიის ნაკრებიც.

ევროპის ხელბურთის ფედერაციამ ფინელებს ქართველთა მასპინძლობა 29, 30 ან 31 იანვარს დაავალა. ფინელებმა აქედან მათთვის ხელსაყრელი დღე უნდა ამოირჩიონ. ჩვენები კი ფინეთის გუნდს 1 ან 2 თებერვალს მიიღებენ. ასეთივე პრინციპით უმასპინძლებს საქართველოს ნაკრები შვეიცარიელებს 3, 4 ან 5 მარტს. სტუმრები კი 6 ან 7 მარტს იქნებიან. ხოლო ბელგიელებთან შეხვედრები აპრილში გაიმართება.

გაიმართა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრაც. ქართველები რუსებთან და ჰოლანდიელებთან ერთად მოხვდნენ შესარჩევ ჯგუფში, რომლის გამარჯვებული პირდაპირ ფინალში ითამაშებს.

# კარატე

## სენსეი იჰას ნაშეგირდალმა გვასახელა

აღმოსავლური ორთაბრძოლების კიდევ ერთმა ოსტატმა გვასახელა უცხოეთში.

წელს, 17 წლის თენგიზ ბენდუქიძემ ახალგაზრდების პანამერიკულ ჩემპიონატში იმარჯვა, შემდეგ, იქვე, უფროსებში, გუნდური პირველობაც მოიგეს ჩვენებმა. სულ, 1996 წელს, ოკინავური გოჯო-რიუ კარატეს ახალბედა ოსტატმა 9 სხვადასხვა რანგის მედალი მოიპოვა საერთაშორისო ტურნირებში და მსოფლიოს კარატეს მამების გულისყურიც მიიპყრო. 7 დანის მფლობელმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა სენსეიმ ჩაკ მერიმანმა ამერიკაში მიიწვია თენგიზი, ბენდუქიძემ ოკეანისგაღმელთა ნაკრებში ივარჯიშა, ტურნირზეც იასპარეზა და მერიმანის ხელშეწყობით ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში მრავალპროფილიან სპორტსკოლაშიც სწავლობს. წლეულს ბენდუქიძის მოპოვებულ მედლებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი და ამას თენგიზიც აღიარებს — კონექტიკუტში გოჯო-რიუ კარატეს დამაარსებელს, ოკინაველ სენსეი იჰას შეხვდა, ათი დანის მფლობელმა ლეგენდარულმა იჰამ ძლიერ მოიწონა ჩვენებური და ერთი კვირა ინდივიდუალურად ავარჯიშა. სწორედ ჩამოთვლილი დამსახურებების გამო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მურთაზ მნათობიშვილმა აღმოსავლური საბრძოლო ხმლებით დააჯილდოვა თენგიზ ბენდუქიძე. აღმოსავლური ორთაბრძოლების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ლეჟავამ კი მადლობა, საპატიო სიგელი და ხმლის ნაირსახეობა — საი დაიმსახურა. ამას გარდა, თენგიზ ბენდუქიძე, რომლის მწვრთნელიც პაატა ჭელიძე გახლავთ, საქართველოში კარატეს ყველა მიმდინარეობის წლის საუკეთესო კარატისტად ცნეს.

# ჰოკეი

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

## დიქტატორი კინენი გადადგა

18 დეკემბერი

**რეინჯერზი — ლოს ანჯელესი 4:0, ჩიკაგო — დალასი 2:3, კალგარი — დეტროიტი 3:3, ედმონტონი — კოლორადო 4:4, ვანკუვერი — ნიუ ჯერზი 1:2.**

ერთმანეთთან დაძაბულმა შერკინებებმა გადალახა დასავლეთის ლიდერები — კოლორადო და დეტროიტი და ამიტომ იყო, მორიგ მატჩებში ქულა რომ დაკარგეს. თუმცა, დეტროიტი, სადაც კვლავ ათამაშდნენ რუსები, ახლოს იყო გამარჯვებასთან კალგარში — კოზლოვისა და ფეტისოვის შაიბების შემდეგ 3:1 დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. მასპინძლებს ქულა მოუტანა ახალბედა სიმპსონმა, რომელმაც ნჰლ-ში პირველი გოლი გაიტანა. აღნიშვნის ღირსია დეტროიტის კარგი თამაში რიცხვმრავლობაში (2 გოლი).

კოლორადომ კი, პირიქით, ქულა გადაარჩინა — 49-ე წუთზე ჯო საკიკმა კამენსკი მოძებნა და ბრწყინვალე პასი მიაწოდა. უნდა ითქვას ყოფილი საბჭოელების აქტიურობის შესახებ. უკვე ნახსენებმა კამენსკიმ 3 ქულა დააგროვა, ოზოლინშმა — 1, ედმონტონის საუკეთესო სნაიპერმა კოვალენკომ კი 2 შაიბა (სულ 15) შეაგდო.

ვანკუვერ — ნიუ ჯერზის მატჩში მასპინძლებმა სეზონის ანტირეკორდი დაამყარეს — მხოლოდ 8-ჯერ (!) შეუტიეს „ეშმაკებს", ერთადერთი გოლიც შემთხვევით გაიტანა სეზონის ყველაზე უხეშმა მოთამაშემ ოჯიკმა (83 საჯარიმო წუთი). ამ მაჩვენებლის მიხედვით ლიგის „რეკორდი" ვაშინგტონს ეკუთვნის — მან 1978 წელს 7-ჯერ შეუტია ფილადელფიას.

დეტროიტის უხეირობით (1 ქულა 2 მატჩში) ისარგებლა დალასმა, რომლის წამყვანმა ცენტრმა მოდანომ ოვერტაიმის 27-ე წამზე მეათე გამარჯვება მოუტანა კლუბს. მანამდე დალასმა ორჯერ უმრავლესობაში შეგდებული შაიბით გაათანაბრა. ოჯიკის მთავარი კონკურენტი, ჩიკაგოელი პრობერტი (172 საჯარიმო წუთი) ამ მატჩში გატანილი გოლითაც „გამოირჩა".

კვლავ გაიბრწყინა გრეცკიმ. მისი 3 შედეგიანი პასიდან ორი რობიტაილმა (13) გამოიყენა. უეინმა სერია 10 მატჩამდე გააგრძელა და 48 (14 + 34) ქულით პირველია ბომბარდირთა დავაში. ამას გამოჯანმრთელებულმა მესიემ (16) ერთი შაიბა დაამატა, მეკარე რიხტერმა კი 5 დღეში მეორე მშრალი მატჩი ჩაატარა. მესიე კარიერაში 555 შაიბით მე-12 ადგილზე მყოფ ბოსიკს დაეწია.

19 დეკემბერი.

**ბოსტონი — ტამპა 3:0, ოტავა — ფლორიდა 5:2, ფილადელფია — აილენდერზი 5:0, სენტ ლუისი — პიტსბურგი 0:4**

ამ დღეს მატჩი ცოტა იყო, მიღწევა კი — ბევრი. ფილადელფიამ ზედიზედ მეშვიდედ გაიმარჯვა, ამასთან, ბოლო სამში არცერთი გოლი არ გაუშვა. გუნდში ახალმოსულმა კოფიმ 3 პასი გააკეთა და ლინდროსის წამყვან ხუთეულში დაიჭირა ადგილი. ხუთივე გოლი კოფიმ და ლინდროსმა შეაგდეს, ლინდროსმა ზედიზედ მეხუთე მატჩში გაიტანა. ფილადელფიას არასტაბილური სტარტი კი ჰქონდა, მაგრამ ახლა სეზონის მთავარი ფავორიტია. ნიუ-იორკელი პალფი კი დაშავებულ ვარსკვლავთა სიას შეემატა.

მარიო ლემიეს 38-ე ჰეთ-თრიქმა კარიერაში და იაგრის ოთხმა შედეგიანმა პასმა, ბოლოს და ბოლოს, გამოუტანეს განაჩენი სენტ-ლუისის გუნდის თავს კინენს, რომელმაც დატოვა თავისი პოსტი. „ბლუზმენებმა" ოთხ მატჩში ერთადერთი შაიბა შეაგდეს, ისიც — ბულიტით. კლუბს გვარიანი გადახალისება ესაჭიროება. მშვენივრად ითამაშეს პიტსბურგის ლიდერებმა: ლემიემ 10 გოლი მიითვალა 8 მატჩში, იაგრმა კი კვლავ გაუსწრო გრეცკის — 49 (30 + 19).

რამდენიმე იღბლიანი მატჩის შემდეგ ორჯერ წააგო ტამპამ. მის სძლევად ბოსტონელთა მეორეხარისხოვანი მოთამაშეების — მალეტის, კენედის და მაკლირის შაიბებმაც იკმარა. აღმოსავლეთის ლიდერი ფლორიდა აშკარა კრიზისს განიცდის, რაკი სენსაციური მარცხი იწვნია ოტავასგან. გადამწყვეტი მეორე პერიოდი გამოდგა, როდესაც ლიგის ყველაზე სტაბილურმა გოლკიპერმა ვანბისბრუკმა ალფრედსონის, ჰენენისა და იაშინის იოლი გოლი გაუშვა. ფლორიდამ სეზონში პირველად დაკარგა ლიდერობა დივიზიონში.

რუსმა ვარსკვლავებმა იუბილე აღნიშნეს. ფიოდოროვმა 550-ე ქულა დააგროვა, მოგილნიმ კი 300-ე პასი გააკეთა.

**სამველ ლარიბიანი**




# ჯადოქრის ბოლო საიდუმლო

## პასუხი უილიამსმა აგოსო

**20 თებერვლიდან აირტონ სენას დაღუპვის გამო იმოლას სასამართლოში დაბარებული არიან „უილიამსის“ თავკაცი, ხეიბარი ფრენკ უილიამსი, გუნდის ტექნიკური დირექტორი პატრიკ ჰედი, მთავარი კონსტრუქტორი ადრიან ნიუი, რბოლის დირექტორი, ბელგიელი როლან ბრიუნსერედი, იმოლას ტრეკის დირექტორი ფედერიკო ბენდინელი და ყოფილი მუშაკი ჯორჯო პოჯი. ექვსივე ბრალდებული ერთხმად უარყოფს ბრალდებას.**

### აირტონ სენა

დაიბადა 1960 წლის 21 მარტს სან-პაულუში
დაიღუპა 1994 წლის 1 მაისს იმოლაზე
161 რბოლაში
გაიმარჯვა 41-ჯერ,
მოიპოვა 65 პოული,
მოაგროვა 610 ქულა
სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი:
1988, 1990 და 1991 წლებში



ჯერაც რომ ცოცხალი ვარ, დიდ წარმატებად მიმაჩნია.

**1993 XI**

შორსაა დღე, როცა თავს ვეტყვი, შესაძლებლობები ამოგიწურავსო. იქნებ ეს მხოლოდ სიკვდილისას ხდება. ასეა თუ ისე, ჩემთვის ეს დრო ჯერ არ დამდგარა.

**1993 X**

**1994** წლის 1 მაისი, იმოლა, ენცო და დინო ფერარების სახელობის ტრასა, სანმარინოს დიდი პრიზი, მეშვიდე წრე:

რბოლის ლიდერი აირტონ სენა (უილიამს-რენო) ტამბურელოს მოსახვევში შევიდა, რომელსაც ჩვეულებრივ უმაღლესი სიჩქარით — 300 კმ-სთ სიჩქარით გადიან. ბრაზილიელის ბოლიდმა მოულოდნელად ტრაექტორიას გადაუხვია, ტრასას მოწყდა, ასიოდე მეტრი იფრინა და ბეტონის ბარიერს შეასკდა.

ფორმულა-1-ში უფრო სახიფათო ავარიებიც მომხდარა, სენაც მოხვედრილა უფრო მძიმე სიტუაციაში, მაგრამ ისიცა და მისი კოლეგებიც უვნებელნი გადარჩენილან. გარდა ამისა, სენას მანქანა კედელს ირიბად შეეჯახა. ამის გამო დარტყმა ნაკლებად საშიში უნდა ყოფილიყო.

20 წამის შემდეგ რბოლა შეწყდა, 35 წამში ავარიის ადგილას ექიმები გაჩნდნენ და კოკპიტში გაუნძრევლად მჯდომ სენას დაესივნენ, ოთხ-ნახევარი საათის შემდეგ კი ბოლონიის ჰოსპიტალში გამოცხადდა, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გარდაცვლილიყო. ავტოსპორტის სამყარო შოკში აღმოჩნდა.

მას აქეთ ორნახევარი წელი გამოხდა. მედიაში დროდადრო ჩნდებოდა ვერსიები ბრაზილიელი ჯადოქრის დაღუპვის მიზეზთა გამო, ბოლოს კი გამოქვეყნდა სენსაციური ცნობაც, სენას ოჯახს შეუძლია „უილიამსს“ 33 მილიონი დოლარი მოთხოვოსო. საფუძვლად ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორის — ენრიკო ლორენცინის დასკვნა მოყავდათ, სენას ბოლიდის საჭე კედელთან შეჯახებამდე იყო დაზიანებულიო.

მაინც რა მოხდა? ამის შესახებ ხუთი ვერსია არსებობს.

### პირველი

#### პილოტის შეცდომა (?!)

საწყის ეტაპებზე განცდილმა მარცხმა სენა გაანერვიულა. ამას დაერთო ბრაზილიელი რუბენს ბარიკელოს (ჯორდანი) პარასკევის ავარია და ავსტრიელი როლანდ რაცენბერგერის (სიმტეკი) შაბათს დაღუპვა. შესაძლოა, სენას ამ ამბებმა წონასწორობა დააკარგვინა და მანაც მანქანა ტრასაზე ვეღარ დააკავა, მით უფრო, რომ იმ წლიდან საერთაშორისო ფედერაციამ აკრძალა ელექტრო-მოწყობილობა, რომელიც ავტომობილის ძირსა და ტრასის ზედაპირს შორის მუდმივ მანძილს ინარჩუნებს — ამით მოსახვევებში ბოლიდს სტაბილურობა და სიჩქარე ემატება, მაგრამ მოწყობილობა ძვირი ღირს და მისი დამონტაჟების საშუალება ერთ-ორ მდიდარ გუნდს თუ აქვს.

ზემოთ მოტანილმა მოსაზრებამ ლოგიკური ჯაჭვი წარმოქმნა: მარცხებით გამწარებული სენა ცდილობდა შუმახერის შორს ჩამოტოვებას. მოსახვევში სწორედ ვერ შეაფასა მდგომარეობა, მანქანის შესაძლებლობა ვერ გაითვალისწინა, დასაშვებ ზღვარს გადააჭარბა, თანაც იმ საბედისწერო ადგილას საფარიც ოღრო-ჩოღრო აღმოჩნდა, ავტომობილი ერთი შეხტა და ყველაფერი დასრულდა.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

ერთი ეგ არის, რომ ვირტუოზი პილოტის მიერ ასეთი შეცდომის დაშვება წარმოუდგენელია. სენა ხომ სხვა მრბოლებზე უკეთ გრძნობდა ტრასასთან ბოლიდის შეჭიდების ზღვარს, თვით წვიმაშიც კი, და ამის გამო ბევრჯერ აშკარად სუსტი მანქანითაც კი დაუმარცხებია მეტოქეები. ამიტომაც შეარქვეს „ჯადოქარი“ და „წვიმის კაცი“. ჰკი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო ჯეელ ბრაზილიელზე ამბობდა, მანქანას ისე მართავს, რომ შეუძლებელია რამე შეემთხვასო. ერთი სიტყვით, ეს ვერსია იმთავითვე საკმაოდ უსუსური იყო.

### მეორე

ამ ვერსიას საფუძვლად ის ედო, რომ იმოლაზე საფარი იმ გაზაფხულს მთლიანად განაახლეს, ახალი ასფალტი კი პირველ ხანებში საკმაოდ სლიპინაა.

რბოლის წინ თითქმის ყველა გუნდი უჩიოდა ტრასასთან ცუდ შეჭიდულობას. ამის გამო საბურავები ცოტა ნაკლებად დაბერეს და შეხების მეტი ფართის ხარჯზე გაზარდეს ეგ შეჭიდულობა, მაგრამ ამით საკმაოდ იზარალეს: ბოლიდის ძირიდან ტრასის ზედაპირამდე მანძილი შემცირდა, რის გამოც მანქანები მუცლით ეხახუნებოდნენ ასფალტს.

იმ დღეს, პირველ წრეზე მომხდარი ავარიის გამო, ხუთი წრის მანძილზე ქარავანს პეის-კარი მიუძღოდა. საბურავების ტემპერატურამ დაიკლო და წნევამ კიდევ უფრო დაიწია. ამას მოსახვევში, უსწორმასწორო ზედაპირზე მანქანის მდგრადობის დაკარგვა მოყვა, რამაც გამოიწვია ავარია.

უნაკლო არც ეს ვერსიაა: თუ ავარია საბურავების დაბალი წნევის გამო მოხდა, განა უფრო მეტი შანსი არ იყო იმისა, რომ იგი ერთი წრით ადრე, პეის-კარის გასვლისთანავე მომხდარიყო — მაშინ ხომ საბურავები უფრო გრილები იყვნენ.

### მესამე

ეს ვერსია უფრო დამაჯერებელი ჩანდა: სტარტზე მომხდარი ავარიის შემდეგ მიმოფანტულმა ნამსხვრევებმა სენას მანქანას „გუდიარის“ საბურავები დაუზიანეს. არადა, ამ ფირმის წარმომადგენლებმა ეს ვარაუდი კატეგორიულად უარყვეს და განაცხადეს, რომ მათ საბურავებს კედელთან შეჯახებისას მიღებულის გარდა სხვა დეფექტი არა ჰქონიათ.

### მეოთხე

ავარიის მიზეზი შესაძლოა პილოტის ფიზიკური მდგომარეობა ყოფილიყო. ჩქარ მოსახვევებში მრბოლზე ხომ მოქმედებს 4,5 g ტოლი აჩქარება, ასეთი გადატვირთვისას კი გამორიცხული სულაც არაა წამიერი დაბრმავება. ავტომრბოლები საგანგებოდ ვარჯიშობენ ასეთი დატვირთვის გასაძლებად, ამიტომ წარმოუდგენელია, რომ სენას თვალთ დაბნელებოდა.

### მეხუთე

#### მართვის სისტემის დაზიანება

სენას მდევარი „ბენეტონიდან“ გადაღებულ კადრებზე კარგად ჩანს, რომ ერთ მომენტში ბრაზილიელის „უილიამსი“ საჭირო ტრაექტორიას გადაცდა და პირდაპირ წავიდა. ეს მხოლოდ საჭის მექანიზმის დაზიანებას შეეძლო გამოეწვია. შემთხვევის ადგილას გადაღებულ ფოტოებზე მშვენივრადა ჩანს საჭე და მისი ღერძის ნამსხვრევები. სპეციალისტთა ყურადღება სწორედ ამ ვერსიამ მიიპყრო.

**დაიწყო გამოძიება, შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 600-გვერდიანი ანგარიში წარადგინა.**

დამტკიცდა, რომ საჭის ღერძი შეჯახებამდე იყო დაზიანებული. გაირკვა ისიც, რომ სენა უჩიოდა კოკპიტის სივიწროვეს. ამიტომ მექანიკოსებმა სივრცის გასაზრდელად საჭის ოდნავ აწევა გადაწყვიტეს, მისი ღრუ ღერძი გადახერხეს და მასში უფრო მცირე დიამეტრის მილი ჩადგეს.

ექსპერტიზით დადგინდა, რომ ჩადგმული მილის ფოლადი უფრო დაბალი ხარისხის, ამასთან თხელ კედლიანიც იყო. დადასტურდა, რომ ლითონი დაძველებულიყო. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, ვიბრაციას მილის გაბზარვა და გადატეხვა გამოეწვია. თუ ეს ყველაფერი მართლაც ასე იყო, მაშინ ზედ დაღუპვის წინ სენას ხელთ თუმც ეპყრა საჭის ბორბალი, მოძრაობის მიმართულების შეცვლის შანსი მაინც ვერ ექნებოდა.

რბოლის რეპორტაჟის ცქერისას და შემდეგაც, სხვა გადაცემებში, იმ ტრაგიკული მომენტის გამეორებამ სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დატოვა, რაზეც ალბათ ავტოსპორტის ის მოყვარულებიც დამეთანხმებიან, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს ფორმულა-1-ის რბოლებს.

**მედიამ მსოფლიოს მოფინა, რომ ავარიის მიზეზი ნაპოვნია. საგამოძიებო ჯგუფი მაინც განაგრძობდა მუშაობას. გაჩნდა ათასგვარი სხვა ვერსიაც.**

ამბობენ, რომ ავარიის ადგილიდან დაიკარგა ე. წ. შავი ყუთი — სწორედ ისეთი, თვითმფრინავებს რომა აქვთ და ყოველგვარ ტექნიკურ ინფორმაციას ინახავს. ვარაუდობენ, რომ ყუთი „უილიამსის“ მექანიკოსებმა მოიპარეს. გამოჩნდა მოწმეც. იგი ამტკიცებს, რომ ბოლიდის ნამსხვრევებში „უილიამსის“ კონსტრუქტორი პატრიკ ჰედი იქექებოდა.

ჰედი დაკითხეს და გაირკვა, რომ ამ ჩამწერი მოწყობილობის აღების უფლება მისთვის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკურ კომისარ ჩარლზ უითინგს მიეცა მას შემდეგ, რაც ნამსხვრევები მსაჯთა კოშკურასთან მიეტანათ. შავი ყუთის მონაცემების დამუშავება საჩქარო იყო, რადგან თუ ბოლიდში კონსტრუქციულ ხინჯს აღმოაჩენდნენ, მორიგი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად „უილიამსის“ მეორე პილოტ დეიმონ ჰილსაც დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტა რბოლა.

**ასე არ მოხდა: ჰილმა რბოლა გააგრძელა, ე. ი. ავარია მხოლოდ სენას მანქანის მოდიფიკაციის შედეგი უნდა ყოფილიყო. კომისამ სამი თვის დაგვიანებით მაინც მოიპოვა შავი ყუთი, მაგრამ რაღა დროს: მისი შიგთავსი ალბათ უკვე შერყვნილი იყო.**

აგორდა ათასი ჭორი იმ კასეტის გამოც, რომელზეც იწერებოდა სენას ბოლიდზე დამონტაჟებული ვიდეო-კამერის დანახული. ავარიიდან ნახევარი წლის მერეღა გაირკვა, რომ ასეთი კასეტა მართლაც არსებობს და ოთხ-ნახევარ წუთიან ჩანაწერს შეიცავს. ერთი ეგაა, რომ ის მომენტი, როცა სენას მანქანა კედლისკენ წავიდა, ფირზე აღბეჭდილი არაა.

„უილიამსმა“ ეს იმით ახსნა, რომ გადაცემის რეჟისორს იმ მომენტიდან ჩაწერა სხვა კამერაზე გადაერთო. იმასაც ამბობენ, რომ საერთაშორისო ფედერაციის პრეს-ატაშეს, გვარად ლონგანეზის იმ კრიტიკული წამების ჩანაწერიც უნახავს, რომელიც კასეტას აკლია, მასზე კი მშვენივრადა ჩანს, თუ როგორ ატრიალებს სენა საჭეს, მანქანის თვლები კი არ რეაგირებენ. ლონგანეზიმ ეს ჭორი უარყო.

ასე რომ, დარჩა ოდენ ფაქტები. ყველა რაღაც ნაკლით ხასიათდება და ვერც უტყუარად ჩაითვლება. ნაღდია, რომ საჭის ღერძი შეჯახებამდე დაზიანებული იყო, მაგრამ თუ როდის დაზიანდა — მოხვევისას თუ ბოლიდის ტრასის კიდეზე შეხტომისას, დარწმუნებით ვერავინ ამბობს.

არსებობს ბოლონიის ჰოსპიტალის პათანატომის ოფიციალური დასკვნა, რომელიც კომპუტერულ მოდელს ემყარება. მის თანახმად, სენას სიკვდილი გამოიწვია წინა შეკიდულობის ბერკეტმა. შეჯახებისას მანქანას ბორბალთან ერთად მოწყვეტილი ბერკეტი თურმე ჰაერში აიჭრა და მრბოლს საშინელი ძალით ჩაესრო თავში. საკმარისი იყო, ბერკეტი ბორბალსაც მოწყვეტოდა, ან სხვა კუთხით მოხვედროდა სენას, ანაც არ მოხვედრილიყო ჩაფხუტსა და გამჭვირვალე ზარადს შორის დარჩენილ ღრეჩოში, რომ პილოტი გადარჩებოდა.

დასკვნის ავტორ პროფესორს მიაჩნია, რომ სიკვდილის მიზეზი შეიქნა საჭე, რომელიც პილოტს შეჯახებისას თავში მოხვდა. თუკი ეს მართალია, მაშინ საჭე მკვიდრად უნდა ყოფილიყო დამაგრებული, ე. ი. იგი არ გადამტყდარა (!?)

ამრიგად, ყველა ვერსია ნაკლოვანია და სარწმუნოდ ერთიც ვერ მიიჩნევა. ერთი სიტყვით, ბრაზილიელმა ჯადოქარმა, შესაძლებლის ზღვარზე მანქანის მართვის უნარით რომ აცვიფრებდა ავტოსპორტის მოყვარულებს, მათ ბოლო, ჯერაც ამოუხსნელი თავსატეხი დაუტოვა.

**ალეკო ჭაბუკიანი**

წინა პარასკევს, მონაკოში, მძლეოსნობის საერთაშორისო ფონდმა გამართა წელს თავ-გამოჩენილ ათლეტთა დაჯილდოება. „საუკეთესო მოასპარეზის“ ნომინაციაში გაიმარჯვეს კანადელმა დონოვან ბეილიმ და ფრანგმა მარი-ჟოზე პერეკმა. ბეილიმ ატლანტაში მსოფლიო რეკორდით მოიგო **100** მეტრზე სირბილი, პერეკმა კი ოლიმპიადაზე დუბლი შეასრულა — **200** მეტრზეც გაიმარჯვა და **400**-ზეც.

იმავე პრეზენტაციაზე „მძლეოსნობის ლეგენდებად“ შერაცხეს ამერიკელი მაიქლ ჯონსონი და რუსი სვეტლანა მასტერკოვა.

გარდა ამისა, გალაზე მიწვეულნი იყვნენ ამერიკელი სპრინტერი დენის მიჩელი, ბრიტანელი სამხტომელი ჯონათან ედვარდსი და იამაიკელი მორბენალი ქალები — მერლინ ოთი და მიშელ ფრიმენი. დააჩუქრეს ის მძლეოსნებიც, იავარქმნილ სარაევოში ჩასვლა და ასპარეზობა რომ არ დაიზარეს.




## პრივი

### მძიმე ლოგიკა

მაიკ ტაისონმა ნოემბერში ვბა-ის საჩემპიონო სარტყელი რომ დაკარგა, მიხვდა, კარგი სეკუნდანტი აუცილებელიათ და მიმართა ემანუელ სთიუარდს, იქნებ გადიად დამიდგეო.

სთიუარდი ბოლო ორი წელია, მხარში უდგას ვბა-ის ბრიტანელ ექს-ჩემპიონ ლენოქს ლუისს, რომელსაც მენეჯერთა-მენეჯერი დონ კინგი ტაისონს არა და არ აჯიბრებს.

სთიუარდმა ტაისონს უარი ტკიცა. როგორც თავადვე ბრძანა, მაიკის წინადადება კი მეამა, მაგრამ ფულზე სიტყვაც კი არ ჩამოვუგდე, ისე ავუბზუე ცხვირიო.

სთიუარდმა ისიც დასძინა, ხალხს სულ ტყუილად ჰგონია, რომ კრივში უზენაესი პატივი ტაისონის მწვრთნელობაა. მწარედ ცდებიან, რაკი ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტი — ლუისის მოძღვრისა მე მიჭირავსო.

სთიურადის აზრი განავრცო ლენოქსის მენეჯერმა ფრენკ მელონიმ: თუ ტაისონი სთიუარდს გაწვრთნასა თხოვს, მაშ ემანუელი მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი ყოფილა, და რაკი ისა წვრთნის ლენოქს ლუისს, მაშასადამე ლუისია მსოფლიოს საუკეთესო მძიმეწონოსანიო!

### ნაძვისხე დაარბია!?

ვბა-ის სარტყელი რომ უპატრონოდაა, გაისად მისთვის ლუისი უნდა შეებას ამერიკელ ექს-ჩემპიონ ოლივერ მაკქოლს, რომელმაც ლენოქსი შარშანწინ დაანოკაუტა და ტიტული წაართვა.

ეს მაკქოლი დიდი უბედური ვინმეა და სიგლახისაკენ აქვს მიდრეკილება. აპრილში მარიხუანა უპოვეს, ივლისში — კოკაინი, აგვისტოში სარეაბილიტაციო ცენტრში უმკურნალეს, ნოემბერში წელიწად ნახევარი დაუდგინეს გამოსაცდელ ვადად, ორშაბათს კი ნეშვილში (ტენესის შტატი) მაინც ხულიგნობით გამოიჩინა თავი.

კვირას იქ ახალი არენა გაიხსნა. ინაუგურაციას დაესწრო თვით კინგი, რომელიც მასზე ლუის — მაკქოლის შერკინებას გეგმავდა, მაგრამ სასამართლომ მისი გამართვის პატივი ჩამოართვა.

**31** წლის მაკქოლიც იქ ყოფილა და „ქრაუნ პლასას“ ოტელში რომ დათვრა, სასმისი და საფერფლე სანაგვეში მოისროლა, ჰოლში კი ნაძვის ხე დაარბია.

პოლიციამ მოკრივეს წესრიგისაკენ მოუწოდა, მთვრალმა კი ჩაფრებს აგინა, მათ მანქანას შეაფურთხა და დაკავებისას გაუძალიანდა.

### სულტნის კარზე

მსოფლიოს ბებერი ექს-ჩემპიონები — ჯორჯ ფორმენი და ლარი ჰოლმსი მორიგებულან, რომ ვიდრე რინგს მეორედ და საბოლოოდ დაემშვიდობებიან, ერთი დაშხოშიანი შერკინება კიდევ გამართონ. მრავლის მნახველ ხარებს ადგილიც შესაფერი შეურჩევიათ — მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის, ბრუნაის 77 წლის სულტნის — ბოლკჰიარის კარი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29